

დაერთვიდეთ  
იურისტების  
ჯგუფი

დაერთდით და  
თავი თავს დაუდეთ  
დაერთდით და  
დაერთდით და  
დაერთდით და  
დაერთდით და  
დაერთდით და  
დაერთდით და  
დაერთდით და  
დაერთდით და



# დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი



<https://www.facebook.com/დამოუკიდებელი-იურისტების-ჯგუფი-Group-of-Independent-Lawyers-648795978915557>

## მოსამართლეთა მიერ თვითმხარეთველობის ფორმირება აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში და მოსამართლეების ქცევა კიბრიდული რეჟიმის ბამონვევების წინააღმდეგ

ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბროშურის შინაარსზე პასუხისმგებელია დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი. ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა  
საქართველოში (PROLoG)

თბილისი 2021

ავტორი: **მანია ბაქრაძე**  
გამოცემაზე პასუხისმგებელი: **დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი**  
ტექსტის რედაქტორი: **მარიამ იაშვილი**  
დიზაინი და ტექნიკური რედაქტირება: **ქეთევან გოგავა**

# შინაარსი

შესავალი .....	5
1. მოსამართლეთა თვითმმართველობა, პოსტ-კომუნისტური ძველების ბამონჯეები სასამართლოთა თვითმმართველობის ჩამოყალიბების ეტაპზე .....	6
2. მოსამართლეთა თვითმმართველობის განხორციელების საერთაშორისო სტანდარტები.....	8
3. სასამართლო თვითმმართველობის ევროპული მოდელის ბამონჯეები.....	10
4. მოსამართლეთა თვითმმართველობა საქართველოში.....	13
5. თვითმმართველობის განხორციელების კონკრეტული მოდელები.....	15
ესტონეთი .....	15
სლოვენია .....	16
უკრაინა .....	17
მოლდოვა .....	19
სლოვაკეთი .....	20
6. სასამართლოს თავმჯდომარეები.....	21
7. მოსამართლის ინდივიდუალური დამოუკიდებლობის საფრთხეები და მათი გავლენა მოსამართლის ქვეყანაზე, კორუპციის რისკების წინაპირობები.....	25
საფრთხის წყაროსთან ფარული მოლაპარაკებები.....	27
მოკავშირეების მობილიზება .....	27
საზოგადოებასთან ურთიერთობა და გასვლა ხალხში.....	27
კოლექტიური პროტესტი .....	28
დასკვნა.....	31





კვლევის მიზანია სასამართლოს თვითმმართველობის ევროპულ მოდელზე გადასვლით, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების წინაშე დამდგარი გამოწვევების მიმოხილვა; პოსტ-კომუნისტური წარსულით გამოწვეული შედეგების იდენტიფიცირება და გამოწვევების დაძლევის გზების აღწერა.

კვლევის მიზნებისთვის შეირჩა აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ქვეყნები, რომლებიც შესაბამისობაშია საქართველოსთან საერთო ისტორიული მახასიათებლებით და რომელთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების გამოცდილება რაიმე ნიშნით იყო და არის მსგავსი, იმ მოცემულობის გათვალისწინებით, რაც დღეს საქართველოს აქვს. კვლევაში აღწერილია როგორც, ზოგადად, სასამართლოს თვითმმართველობის მექანიზმი, ასევე, პოსტ-კომუნისტურ სისტემებში მართლმსაჯულების თვითმმართველობის სისტემის შემოღებისას არსებული გამოწვევები მკვლევართა ნაშრომებზე დაყრდნობით.

ნაშრომი შედგება ორი თემატური ნაწილისგან. პირველი მოიცავს სასამართლოს თვითმმართველობასთან დაკავშირებულ საერთაშორისო სტანდარტებს. საქართველოში თვითმმართველობის სისტემის გამოწვევებთან შედარების მიზნით, კვლევის პირველი ნაწილი ეთმობა საქართველოს მოსამართლეთა თვითმმართველობის ნორმატიული რეგულირების და არსებული მდგომარეობის აღწერას. ნაჩვენებია რამდენიმე ქვეყნის გამოცდილება – მოსამართლეების მიერ მოსამართლეთა არჩევის და, ზოგადად, თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების, მათ შორის, ფუნქციათა დანაწილების მიმართულებით. ნაშრომის მეორე – თემატური ნაწილი კი მიმოიხილავს მოსამართლეთა ქცევას ჰიბრიდული რეჟიმების<sup>1</sup> ქვეყნებში. ასახავს კონკრეტულ მაგალითებს – თავდაცვის რა გზებს ირჩევენ მოსამართლეები და როგორ იყენებენ ავტონომიურობას – ინდივიდუალური და სისტემური დამოუკიდებლობის დასაცავად, თუ პირადი კორპორატიული ინტერესებისთვის.

1 პოლიტიკური რეჟიმი, რომელიც მოიცავს დემოკრატიულ და ავტოკრატიულ ელემენტებს. იხ.: Trochev, Alexei. Ellett, Rachel, Judges and Their Allies, Beloit Colleg, Journal of Law and Court, Spring 2014, p.67. ხელმისაწვდომია: <https://www.journals.uchicago.edu/doi/10.1086/674528> (7/27/2021)

# 1. მოსამართლეთა თვითმმართველობა, კოსტ-კომუნისტური ქვეყნების ბამონჯეები სასამართლოთა თვითმმართველობის ჩამოყალიბების ეტაპზე

მოსამართლეთა თვითმმართველობის სისტემის მხარდაჭერა სასამართლო სისტემის მართვაში მოსამართლეთა მონაწილეობის გაძლიერებას ისახავდა მიზნად, რაც, თავის მხრივ, ხელისუფლების დანაწილებისა და პოლიტიზებული მართლმსაჯულების თავიდან აცილების იდეას უკავშირდება. ევროკავშირის წევრობაზე ორიენტირებული ქვეყნებისთვის მკაცრად განსაზღვრულ მიზანს წარმოადგენდა დამოუკიდებელი და ძლიერი მართლმსაჯულება, როგორც წევრობის აუცილებელი წინაპირობა.

აღმოსავლეთ ევროპისგან განსხვავებით, დასავლეთ ევროპის ქვეყნებს აქვთ მეტი ისტორიული გამოცდილება შეინარჩუნონ ბალანსი სასამართლოს ანგარიშვალდებულებასა და დამოუკიდებლობას შორის. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის გამოწვევას წარმოადგენდა დამოუკიდებელი შტოს შექმნა იმ მენტალური მემკვიდრეობით, რაც მათ საბჭოთა წარსულიდან მიიღეს. ერთი მხრივ, თავად მოსამართლეები არ იყვნენ მენტალურად დამოუკიდებლები, არ ჰქონდათ თავდაჯერებულობა, რომ შეეძლოთ სრულად დამოუკიდებლად მიეღოთ გადაწყვეტილებები საკუთარ თავს მაღალანაზღაურებად საჯარო მოხელეებად აღიქვამდნენ<sup>2</sup>, ხოლო, მეორე მხრივ, არ არსებობდა საზოგადოებაში სასამართლოსადმი ნდობა, სოციუმი მას ხელისუფლებისადმი დამორჩილებულ კორუფციულ უწყებად მიიჩნევდა.<sup>3</sup>

სასამართლოს თვითმმართველობის მოდელები პირობითად სამ ჯგუფად შეილება დაიყოს: იუსტიციის საბჭოს მოდელი, იუსტიციის მინისტრთან ერთად მართვის მოდელი და სასამართლოს სერვისის მოდელი<sup>4</sup>.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობამ არჩევანი იუსტიციის საბჭოს მოდელზე შეაჩერა. გამონაკლისის სახით დარჩა ჩეხეთი; თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ჩეხეთში სასამართლო მმართველობაში დიდია აღმასრულებელი ხელისუფლების წილი, მოსამართლეთა ძალაუფლება ამ სისტემაშიც არანაკლებ არის გაზრდილი. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში გარე გავლენებისგან დასაცავად შექმნილმა ძლიერი მართლმსაჯულების საბჭოების მოდელმა, მართალია, გაზარდა გარე საფრთხეებისგან სისტემის დაცვის მექანიზმები, მაგრამ მნიშვნელოვნად შეამცირა სასამართლოს ანგარიშვალდებულება. ამ ფონზე, ძლიერი თვითმმართველობის და მენტალური დამოუკიდებლობის არარსებობა ნოყიერი ნიადაგია იმისთვის, რომ სასამართლოზე მეთვალყურეობის „ტრადიცია“ აღმასრულებელი ხელისუფლებიდან შიგნით სასამართლო ხელისუფლებაში იქნას გადატანილი.<sup>5</sup> ეს ფაქტორები ქმნის შიდა დამოუკიდებლობის საფრთხეს და ხელს უწყობს სისტემის ჩაკეტვას, კორპორატიზმს, ნეპოტიზმს, კორუფციას, ძალაუფლების მიტაცებასა და საზოგადოების მოთხოვნილებებისგან და სამართ-

2 Bobek, Michail. The Fortress of Judicial Independence, 2008

3 James E Moliterno, Lucia Berdisová, Peter Čuroš, & Ján Mazúr. Independence without Accountability: The Harmful Consequences of EU Policy towards Central and Eastern European Entrants, Fordham International Law Journal. ხელმისაწვდომია: <https://ir.lawnet.fordham.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2734&context=ilj> (7/27/2021)

4 შერეული მმართველობით, სადაც მოსამართლეთა შერჩევაში სპეციალური ორგანო მონაწილეობს (დანია, ირლანდია, შოტლანდია), იხ.: Kosar, David. Beyond Judicial Councils, German Law Journal, Vol. 19, No. 07, 2018, p.1574. ხელმისაწვდომია: [https://germanlawjournal.com/wp-content/uploads/Vol\\_19\\_No\\_7\\_full.pdf](https://germanlawjournal.com/wp-content/uploads/Vol_19_No_7_full.pdf) (7/27/2021)

5 Supra note 2.

ლებრივი სივრციდან მართლმსაჯულების სისტემის დაშორებას. სასამართლო ასეთ ვითარებაში კარგავს ხელისუფლების შტოს ფუნქციას და იქცევა დიდი ძალაუფლების მქონე ავტონომიურ სტრუქტურად, რომელიც არ მონაწილეობს ხელისუფლების შტოებს შორის შეკავება-გაწონასწორების ბალანსის შენარჩუნებაში და პრაქტიკულად უარს ამბობს თავისი ფუნქციაზე.

სასამართლოს თვითმმართველობა თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით ხორციელდება, რომელთა ლეგიტიმაციის წყარო – კონსტიტუცია და კანონია. მკვლევრები სასამართლოს თვითმმართველობის ორგანოების ფართო განმარტებას აყალიბებენ და მიიჩნევენ, რომ სასამართლოს თვითმმართველობის ორგანოდ მიიჩნევა ის ორგანო, რომლის შემადგენლობაში გვხვდება ერთი მოსამართლე მაინც და ამ ორგანოს კანონით გათვალისწინებული ფუნქციაა – მოსამართლეთა კარიერისა და მართლმსაჯულების ადმინისტრირების საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება, ან გადაწყვეტილების მიმღები ორგანოსთვის რეკომენდაციის (რჩევის) მიცემა.<sup>6</sup>

---

6 Kosar, David. Beyond Judicial Councils, German Law Journal, 2018, p. 1571.



## 2. მოსამართლეთა თვითმმართველობის ბანხორციელების საერთაშორისო სტანდარტები

ქვეყნები თავისუფლად ირჩევენ თვითმმართველობაში მოსამართლეთა წარმომადგენლობითობის კომპოზიციებს. საერთაშორისო სტანდარტი უპირატესობას ანიჭებს მოსამართლეთა მრავალფეროვან წარმომადგენლობას. თვითმმართველობის საფრთხეებად განიხილავენ კორპორატივიზმს, ნაკლებ დემოკრატიულობას, თუმცა, ამ რისკებთან გასამკლავებლად, არ შეიძლება აზრი დაეკარგოს თვითმმართველობის სისტემას. თვითმმართველობა დამოუკიდებლობის გარანტია, მაგრამ იგი არ უნდა იქნეს გაგებულნი ისე, რომ მხოლოდ მოსამართლეები იყვნენ საბჭოების წევრები.<sup>7</sup>

თვითმმართველობის ორგანოდ მართლმსაჯულების საბჭოების ჩამოყალიბებასთან ერთად, განისაზღვრა მისი მოწყობის სტანდარტები, რომლის მიხედვითაც, წევრთა არანაკლებ ნახევარს უნდა შეადგენდნენ მოსამართლეები. საბჭოს წევრთა არჩევის მექანიზმი სრულად უნდა გამოირიცხავდეს აღმასრულებელი ან საკანონმდებლო ხელისუფლების ჩარევას, მოსამართლე წევრების არჩევა უნდა მოხდეს მხოლოდ მოსამართლეების მიერ და ეფუძნებოდეს მართლმსაჯულების შესაბამისი სექტორის ფართო წარმომადგენლობას.<sup>8</sup>

ვენეციის კომისიის განმარტებით, სასამართლოს შიგნით კორპორატივიზმის თავიდან ასაცილებლად, ბალანსი უნდა იყოს დაცული, ერთი მხრივ, სასამართლოს დამოუკიდებლობასა და თვითმმართველობასა და, მეორე მხრივ, სასამართლო სისტემის ანგარიშვალდებულებას შორის. მართლმსაჯულების საბჭოებში მოსამართლეების გადაჭარბებული რაოდენობა (ძალაუფლება) იწვევს კორპორატივიზმის საფრთხეებს. მოსამართლეების მიერ არჩეულ წევრებს არ უნდა შეეძლოთ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება როგორც ერთიან ორგანოს, არამედ საზოგადოების წარმომადგენლებს ეფექტური დაბალანსების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ.<sup>9</sup>

მართლმსაჯულების საბჭოს ძირითადი ფუნქციაა სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტიად ყოფნა. ეს არ ნიშნავს, რომ ისინი მართლმსაჯულების სისტემის სრულად თვითმმართველები არიან. იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ კორპორატივიზმი და პოლიტიზირება, მართლმსაჯულება უნდა გაკონტროლდეს იუსტიციის საბჭოს არამოსამართლე წევრების მეშვეობით. კორპორატივიზმი უნდა დაბალანსდეს სხვა იურიდიული პროფესიების წარმომადგენლებით, რომლებიც სასამართლოს მომხმარებლები არიან.<sup>10</sup>

კორპორატივიზმის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია კოლეგების მიერ არჩეული მოსამართლეები არ ფლობდნენ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების ბერკეტს და მათი გადაწყვეტილებები დაბალანსდეს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით.<sup>11</sup> მეორე მხრივ, თავად მოსამართლეთა წარმომადგენლობა უნდა იყოს მრავალფეროვანი. მოსამართლეები უნდა წარმოადგინოს ყველა დონის სასამართლო და უზრუნველყოფილი იქნეს პლურა-

7 Rataj, Primoj, Grega Strban. The Role of the Councils for the Judiciary for an Effective Judicial System, 2017, p. 214.

8 . ENCJ Report 2011, p. 5.

9 Opinion N° 779 / 2014 CDL-AD (2014)026 Or Eng. EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) OPINION ON THE SEVEN AMENDMENTS TO THE CONSTITUTION OF “The former Yugoslav Republic of Macedonia”.

10 Strasbourg, 19 March 2018 Opinion No. 916 / 2018 CDL-AD(2018)003 Or. Engl. EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) REPUBLIC OF MOLDOVA, Par. 56. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3rFLvUv>. (7/27/2021)

11 EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) DRAFT VADE-MECUM ON THE JUDICIARY, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3eTSsfH>. (7/27/2021)

ლიზმი მართლმსაჯულების შიგნით.<sup>12</sup> მოსამართლეთა ფართო წარმომადგენლობის რეკომენდაციას გასცემს ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოც (CCJE)<sup>13</sup>.

ეუთოს ადამიანის უფლებათა და დემოკრატიული ინსტიტუტების ოფისის (OSCE/ODHIR) 2010 წლის რეკომენდაციები<sup>14</sup>, მიზანშეწონილად მიიჩნევენ რეგიონისთვის მართლმსაჯულების ადმინისტრირების ფუნქციების დანაწილებას სხვადასხვა ორგანოს შორის, რათა არ მოხდეს მხოლოდ ერთი ორგანოს ხელში ძალაუფლების კონცენტრირება და თავიდან იქნეს აცილებული კორპორატივიზმის საფრთხეები. ეს ორგანოები უნდა იყოს ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, შეიქმნას კანონის საფუძველზე და მისი შემადგენლობა განისაზღვროს მისივე კომპეტენციის თავისებურებების გათვალისწინებით.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუკი პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდებოდა მოსამართლეების ფართო წარმომადგენლობაზე თვითმმართველობის ორგანოში, ბოლო წლების დასკვნები და შეფასებები მკაფიოდ უსვამს ხაზს თვითმმართველობის ისეთი გამომწვევების დაძლევის საჭიროებებს, როგორებიცაა მოსამართლეების მიერ სისტემის უკონტროლო მართვა, კორპორატივიზმი, გავლენიან მოსამართლეთა ჯგუფების ფორმირების თავიდან აცილება და მხარს უჭერს პლურალისტული დემოკრატიული პროცესების არსებობას, სასამართლოს მართვაში გარე აქტორების სახით სამოქალაქო საზოგადოების ჩართვას, მათ არსებით (და არა ფორმალური) მონაწილეობას სასამართლოს თვითმმართველობაში.

12 Recommendation 2010/12 of the Committee of Ministers of the Council of Europe: CM/Rec (2010)12 on Judges, Independence, Efficiency and Responsibilities.

13 opinion number 10 of the CCJE (Consultative Council of European Judges of the Council of Europe), 2007 ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/168074779b> (7/27/2021)

14 . KYIV RECOMMENDATIONS ON JUDICIAL INDEPENDENCE IN EASTERN EUROPE, SOUTH CAUCASUS AND CENTRAL ASIA – Judicial Administration, Selection and Accountability – Kyiv, 23-25 June 2010; ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/files/f/documents/a/3/73487.pdf> (7/27/2021)

### 3. სასამართლო თვითმმართველობის ევროპული მოდელის გამოწვევები

ევროპულმა სისტემებმა აჩვენა, რომ თვითმმართველობის გაძლიერებასთან ერთად, სასამართლო სისტემები დადგენენ ახალი გამოწვევების წინაშე. სასამართლო სისტემის შიგნით სასამართლოს ადმინისტრირების ცენტრის გადმოტანით, აქცენტი გაკეთდა ავტონომიის გაზრდასა და პოლიტიკური აქტორების ჩაურევლობაზე; თუმცა, ყურადღების მიღმა დარჩა თვითმმართველობის არჩევაში მოსამართლეების გაზრდის ძალაუფლებით გამოწვეული სხვა ფაქტორები. სხვადასხვა ქვეყნებში ამ მოდელმა ხელი შეუწყო გარკვეული ჯგუფების გაძლიერებას და გავლენიანი მოსამართლეების ფენის ჩამოყალიბებას, რომელსაც არასასურველი გავლენა (undue pressure) აქვთ რიგით მოსამართლეებზე. მოსამართლეთა ავტონომიურობის მოდელმა, გარკვეულ შემთხვევაში, დააზიანა მისი შექმნის იდეა და გააჩინა „დამოკიდებული მოსამართლეები დამოუკიდებელ სასამართლოში“.<sup>15</sup>

ორი-სამი ათეული წლის გამოცდილება საშუალებას იძლევა შეფასდეს მოსამართლეთა გაზრდილი თვითმმართველობის შედეგები, გამოიკვეთოს არსებული გამოწვევები. მნიშვნელოვანია თვითმმართველობის ეფექტიანობის შეფასებისას პასუხი გაცეს კითხვებს

- ხომ არ არის სადღაც სხვაგან თვითმმართველობის დე ფაქტო ცენტრი, ანუ ძალები, რომლებსაც აქვთ გავლენა მართლმსაჯულების ბიუჯეტზე, მოსამართლეთა დანიშვნაზე, დისციპლინაზე, დაწინაურებაზე.
- გავითვალისწინოთ, რომ სასამართლოს მმართველობის მოწყობას აქვს მოქნილი ბუნება და რეაგირებს გარე პოლიტიკურ ფაქტორებზე.
- გავაცნობიეროთ, რომ თვითმმართველობა შეიძლება მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის ხელყოფის წინააღმდეგ ჯავშანი კი არა, პირიქით, მასზე პოლიტიკური გავლენის ერთ-ერთ გზა აღმოჩნდეს.<sup>16</sup>

თვითმმართველობის პრობლემები განსაკუთრებით კომუნისტური რეჟიმის გამოცდილების მქონე ქვეყნებზე აისახა. სისტემა **შიგნიდან მოეწყო იმგვარად**, რომ თავად სასამართლოს თვითმმართველობის სისტემა გახდა საყრდენი ავტორიტარული და პოპულისტური პოლიტიკოსებისთვის, რომლებიც ცდილობენ სასამართლოზე გავლენის შენარჩუნებას სწორედ თვითმმართველობის ორგანოების კონტროლის გზით.

მინიმალური გამჭირვალობისა და კორპორატიული მმართველობის პრობლემა დადგა **რუმინეთში**, რამაც განავითარა კორუფცია და მორჩილების კულტურა სასამართლოში.

პოლიტიკური მმართველობის დახმარებით, თვითმმართველობაში მყოფმა მოსამართლეებმა ძალაუფლება გამოიყენეს მართლმსაჯულების შიგნიდან მისატაცებლად **სლოვაკეთში**.

კომუნისტური წარსულის მქონე პატარა ქვეყნებში პირადი ურთიერთობები და არაფორმალური კავშირები უფრო დიდ როლს ასრულებენ, ვიდრე ინსტიტუციური მოწყობა. ამდენად, კორპორატივიზმის საფრთხე, სწორედ ამ ქვეყნების წარსული კულტურიდან მოდის. თუ არაფორმალური კავშირები გაწყდება, გართულდება არალეგალური თანამშრომლობა სახელმწიფო ინსტიტუტებსა და სასამართლოს თვითმმართველობას შორის. კომუნისტური ტოტალიტარული წარსულის ნარჩენები და პოლიტიკური საზოგადოება (community) გამოყენებული იქნა სისტემით მანიპულაციისთვის იმგვარად, რომ შეესუსტებინა თვითმმართველობა კარგი კონსტიტუცი-

15 Iancu, Bogdan, Perils of Sloganised Constitutional Concepts, Notably that of 'Judicial Independence, Book review essay, 2017, pp. 584-588.

16 Kosar, David. Beyond Judicial Councils, German Law Journal, 2018.

ური მოწყობის მოდელშიც კი, ანუ გააჩინა უფსკრული მართლმსაჯულების თვითმმართველობის დაწერილ და რეალურ მოდელს შორის. **სლოვენიაში** მართლმსაჯულების საბჭოს ეფექტი და კარგი რეგულაციები, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობაზე, ანგარიშვალდებულებასა და ხალხის ნდობაზე დადებითად ვერ აისახა. მკვლევართა მოსაზრებით, ამის მიზეზიც იყო არაფორმალური მმართველობა სასამართლოს შიგნით. მიუხედავად საბჭოს ფართო ფუნქციებისა, გადაწყვეტილების მიღების ცენტრი სხვაგან კონცენტრირდა. რეალური თვითმმართველობა მოექცა სასამართლოს თავმჯდომარეების, მათ შორის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ხელში. სისტემამ შეიძინა კორპორატიული მართლმსაჯულების მახასიათებლები, რამაც ოლიგარქიულ მმართველობასთან ერთობლიობაში, მოწყვლადი გახადა მართლმსაჯულება არაფორმალური პოლიტიკური გავლენის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ დე იურე იმიჯის გამო, სისტემა კარგად გამოიყურებოდა, მცირდებოდა ხალხის ნდობა და იზრდებოდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მიმართვიანობა და დარღვევების რაოდენობა.<sup>17</sup>

მკვლევართა მოსაზრებით, მართლმსაჯულების საბჭოების შემოღებამ დადებითი ეფექტი ვერ იქონია საზოგადოების ნდობის გაზრდაზეც სასამართლოს მიმართ. ევროკავშირის ძველ წევრ ქვეყნებს შორის, მართლმსაჯულების საბჭოს მოდელის მქონე ქვეყნებში სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობა უფრო ნაკლებია, ვიდრე საბჭოს გარეშე მოდელის ქვეყნებში. ახალ წევრ ქვეყნებშიც, მხოლოდ საბჭოების არსებობა არ ახდენს დადებით გავლენას საზოგადოების ნდობაზე. ეს არ ნიშნავს იმას, რომ საბჭოს მოდელი ერთმნიშვნელოვნად აზიანებს საზოგადოების ნდობას, თუმცა შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მისი არსებობა არ არის განმსაზღვრელი ხალხის ნდობის გასაზრდელად.<sup>18</sup>

ევროპული ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ რიგ ქვეყნებში, თვითმმართველობის ევროპული მოდელი არ აღმოჩნდა **გარე საფრთხეებისგან** ინსტიტუციური დამოუკიდებლობის დაცვის საკმარისი მექანიზმი და შესაძლებელი გახდა საბჭოს მოდელის გამოყენება კონკრეტული ჯგუფისა თუ აქტორის ინტერესში.

**პოლონეთში**, მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის საბჭო სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტის წარმატებულ მაგალითს აჩვენებდა, 2017 წლის რეფორმის წინააღმდეგ უძღური აღმოჩნდა. 2017 წლის მასშტაბური რეფორმა ითვალისწინებდა პარლამენტის მიერ საბჭოს წევრების არჩევას მოსამართლეთა ნაცვლად, სასამართლოს თავმჯდომარეებისა და იუსტიციის საბჭოს წევრების ვადამდე დათხოვნას, სასამართლოს თავმჯდომარეების არჩევას და დათხოვნას იუსტიციის მინისტრის მიერ იმავე სასამართლოს მოსამართლეთა 2/3-ის და ეროვნული მართლმსაჯულების საბჭოს შეთავაზებით.<sup>19</sup> მიუხედავად ამისა, პარტიას „კანონი და სამართალი“ (Law and Justice) არ გასჭირვებია ასზე მეტი სასამართლოს თავმჯდომარის და მოადგილის დათხოვნა, ეროვნული მართლმსაჯულების საბჭოს დაკომპლექტება სასურველი კანდიდატებით და წინააღმდეგობის გამწევი მოსამართლეების მიმართ დისციპლინური დევნის დაწყება. ამ მიზნით, უზენაეს სასამართლოში შეიქმნა ორი ახალი პალატა – სადისციპლინო და განსაკუთრებულ საქმეთა (extraordinary chamber) პალატები. ისინი დაკომპლექტდნენ პარტიისადმი ლოიალური კადრებით. პირველ მათგანს შეეძლო მოსამართლეების დევნა, ხოლო მეორეს, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადახედვა.<sup>20</sup>

**უნგრეთი** პირველი პოსტკომუნისტური ქვეყანაა, რომელმაც აირჩია ძლიერი საბჭოს მოდელი. მოსამართლეთა ეროვნული საბჭო (NCJ) შეიქმნა მოსამართლეთა ფართო წარმომადგენლობით. სასამართლოს ადმინისტრირების ფუნქცია კი, რომელსაც მანამდე იუსტიციის მინისტრი

17 Avbelj, Matej. Contextual Analysis of Judicial Governance in Slovenia, German Law Journal, 2018, p.1925.

18 Kosar, David. Beyond Judicial Councils, German Law Journal, 2018; Urbanikova Marina & Katarina Šipulova, Failed Expectations: Does the Establishment of Judicial Councils Enhance Confidence In Courts?, German Law Journal, N7, 2018.

19 Article 3 § 2 (5) of the Act on the NCJ and Article 27 § 5a of the Act on Ordinary Courts.

20 EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) POLAND 16 January 2020 Opinion No. 977 /2019 CDL-PI(2020) 002, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3i011J5>, (05/23/2021).

ახორციელებდა, სრულად საბჭოს კომპეტენციაში მოექცა. მიუხედავად მოსამართლეთა ფართო წარმომადგენლობისა, მოსამართლეთა ეროვნულმა საბჭომ (NCJ) ვერ შეინარჩუნა არსებული მოდელი. საბჭოს არაეფექტური საქმიანობის მოტივით განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილება და მართლმსაჯულების ადმინისტრირება დაექვემდებარა ახლადშექმნილ მოსამართლეთა ეროვნულ ოფისს (NJO), რომლის პრეზიდენტად აირჩიოდა 5 წლის გამოცდილების მქონე მოსამართლე პარლამენტის მიერ. ვენეციის კომისიამ კრიტიკულად შეაფასა ის ფაქტი, რომ მართალია, მოსამართლეთა ეროვნულ საბჭოს (NCJ) მოსამართლეთა ეროვნულ ოფისზე ზედამხედველობის ფუნქცია ჰქონდა,<sup>21</sup> ამის პარალელურად, მოსამართლეთა ეროვნული საბჭოს პრეზიდენტს მართლმსაჯულების ადმინისტრირების მნიშვნელოვან საკითხებზე ზემოქმედება მაინც შეუძლია. საბჭოს პრეზიდენტად აირჩევა ხუთი წლის გამოცდილების მქონე მოსამართლე 9 წლით პარლამენტის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლის არჩევისთვის მაღალი კვორუმი იყო დაწესებული, იგი ერთპარტიულად იქნა არჩეული საპარლამენტო უმრავლესობის საკმარისი ხმების გამო. პრეზიდენტი ადგენს სასამართლოს ადმინისტრირების გრძელვადიან გეგმას, შიდა ნორმატიულ რეგულაციებს, შეუძლია სასამართლოსთან დაკავშირებული კანონმდებლობის ინიცირება, კანონმდებლობის საკითხზე პერსონალური მოსაზრების წარდგენა და საპარლამენტო კომიტეტის განხილვაში დამკვირვებლად მონაწილეობა, წარადგენს წინადადებას მოადგილის დანიშვნასა და გათავისუფლებაზე. შეიმუშავებს და წარადგენს დასამტკიცებლად სასამართლოს ბიუჯეტის საკითხებს და მისი შესრულების ანგარიშს, მონაწილეობს მის განხილვაში, გავლენა აქვს ბიუჯეტის შიდა განაწილებაზე, რიგ შემთხვევებში მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრაზე, და განსჯადი სასამართლოს დადგენაზე. ზედამხედველობს სასამართლოების დატვირთვას, წარუდგენს პრეზიდენტს წინადადებას მოსამართლეთა დანიშვნასა და გათავისუფლებაზე. ხელმძღვანელობს მონაცემების შეგროვების პროცესს.

21 OPINION ON ACT CLXII OF 2011 ON THE LEGAL STATUS AND REMUNERATION OF JUDGES AND ACT CLXI OF 2011 ON THE ORGANISATION AND ADMINISTRATION OF COURTS OF HUNGARY, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2UCOYat>, (07/21/2021).



## 4. მოსამართლეთა თვითმმართველობა საქართველოში

თვითმმართველობის ორგანოების ფართო განმარტებით, საქართველოში სასამართლო (თვით)მმართველობის ორგანობად შეიძლება მივიჩნიოთ: მოსამართლეთა კონფერენცია, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სადისციპლინო კოლეგია, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭო, სასამართლოს თავმჯდომარეები.<sup>22</sup>

საქართველოს კონსტიტუციით, საერთო სასამართლოების სისტემის დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის, მოსამართლეთა დანიშვნისა და გათავისუფლების, ასევე სხვა ფუნქციების შესრულებაზე პასუხისმგებელ ორგანოდ განსაზღვრულია იუსტიციის უმაღლესი საბჭო<sup>23</sup>. კონსტიტუციურ დონეზე განსაზღვრული იუსტიციის საბჭოს ფუნქცია – მოსამართლეთა დანიშვნა-გათავისუფლება, თუმცა საქმიანობის სრული ჩამონათვალის დადგენა მინდობილია კანონზე.

კონსტიტუციის მიხედვით, იუსტიციის საბჭოს 15 წევრიდან მხოლოდ ერთი – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეა *ex officio* წევრი, ხოლო არანაკლებ 8 წევრი მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ არჩეული მოსამართლეები არიან.<sup>24</sup> საქართველოს კონსტიტუცია არ განსაზღვრავს მოსამართლე წევრთა ზუსტ ოდენობას და არც სასამართლოს თვითმმართველობის ორგანოს, რომელიც მოსამართლეებს ირჩევს იუსტიციის საბჭოში. საქართველოს კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ ადგენს, რომ მოსამართლეთა კონფერენცია არის სასამართლო თვითმმართველობის ორგანო და იგი შედგება საერთო სასამართლოების სისტემის ყველა მოსამართლისგან. მოსამართლეთა კონფერენციის ვალდებულება – სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის განმტკიცება, სასამართლოსადმი ხალხის ნდობის უზრუნველყოფა და მოსამართლეთა ავტორიტეტის ამაღლება.<sup>25</sup> იუსტიციის უმაღლესი საბჭო ანგარიშვალდებულია მოსამართლეთა კონფერენციის წინაშე.<sup>26</sup> კონფერენცია ირჩევს იუსტიციის საბჭოს, სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრებს, იუსტიციის სკოლის 3 მოსამართლე წევრს, იუსტიციის საბჭოს მდივანს.<sup>27</sup> კანდიდატთა ნომინირება შეუძლია ნებისმიერ მოსამართლეს, გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე მოსამართლეთა 2/3-ის მხარდაჭერით, ფარული კენჭისყრის საფუძველზე. მხარდაჭერის არარსებობის შემთხვევაში, იმართება კენჭისყრის მეორე ტური, რომლის შედეგადაც, არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც დამსწრე წევრთა 1/4-ს მოაგროვებს<sup>28</sup>. მოსამართლეთა კონფერენციაზე არჩევნები, ძირითადად, არაკონკურენტულ გარემოში მიმდინარეობს. 2013 წლის შემდეგ შეიმჩნევა დასახელებულ კანდიდატთა რაოდენობის ვაკანსიების რაოდენობასთან გათანაბრების ტენდენცია. მაგალითისთვის, უკანასკნელ კონფერენციაზე დასახელებული იმდენი კანდიდატი, რამდენი ადგილიც იყო და პირველივე ტურით აირჩიეს ყველა მათგანი.<sup>29</sup> ერთი მხრივ,

22 წერეთელი ნინო, სალომე კვირიკაშვილი. მოსამართლეთა თვითმმართველობა საქართველოში, სტატიების კრებული მართლმსაჯულებაზე, ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2020, გვ. 16. <https://bit.ly/3xdVzoO> (7/21/2021).

23 იქვე, მუხლი 64 (1).

24 საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის მეორე ნაწილით, იუსტიციის საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტს.

25 საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, მუხლი 63.

26 იქვე, მუხლი 47.1.

27 მუხლი 65, 66<sup>3</sup>

28 გარდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრებისა, რომელთა არჩევაც ხდება დამსწრეთა უმრავლესობით, *Supra* note 24.

29 ინფორმაცია ხელმისაწვდომია იუსტიციის საბჭოს ვებ გვერდზე, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2V4svmp>, (05/ 31/2021).

მოსამართლეთა ინდიფერენტული დამოკიდებულების და, მეორე მხრივ, სასამართლოს თავმჯდომარეების უმრავლესობისგან შემდგარი დომინანტი ჯგუფის ხელში სასამართლოს მმართველობის კონცენტრაციის შედეგად, მოსამართლეები არ არიან ჩართულნი რეალურ თვითმმართველობაში. თვითმმართველობის ორგანოები კომპლექტდება ამ ჯგუფის წევრებით, ან მათი მორჩილი მოსამართლეებით. იუსტიციის საბჭო მოსამართლეების შიდა და გარე გავლენებისგან დაცვის ნაცვლად, მოსამართლეების დაქვემდებარების ინსტიტუტად ჩამოყალიბდა. მათ ხელში არსებული მმართველობითი ბერკეტები გამოიყენება სისტემაში განსხვავებული აზრის ჩახშობისთვის, კრიტიკულად მოაზროვნე მოსამართლეების განდევნისა და ლოიალურად განწყობილი კადრების მოსამართლეებად დანიშვნასა და წახალისებისთვის.<sup>30</sup>

*ცხრილი N1*

სასამართლო თვითმმართველობის ფუნქციები და მათი განაწილება თვითმმართველობის ორგანოებს შორის საქართველოში.<sup>31</sup>

სასამართლო თვითმმართველობის ფუნქციები	საკადრო	მოსამართლეთა შერჩევა, დანიშვნა, დისციპლინირება, დაწინაურება, იმპიჩმენტი, ანაზღაურება, დანამატი	იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია, პალატა
	ადმინისტრაციული	საქმეთა განაწილება, მოსამართლეთა დატვირთვა, მოსამართლეთა განაწილება კოლეგიებში, რაოდენობის განსაზღვრა სასამართლოებში, სასამართლო მოწვევების შერჩევა, საჩივრების განხილვა, სასამართლოს საქმიანობის შეფასება	იუსტიციის უმაღლესი საბჭო სასამართლოს თავმჯდომარე
	ფინანსური	სასამართლო სისტემის ბიუჯეტი, ცალკეული სასამართლოების ბიუჯეტი და სხვაგვარი დახმარება	იუსტიციის უმაღლესი საბჭო
	საგანმანათლებლო	მოსამართლეთა კანდიდატების და მოსამართლეების ტრენინგები, კონფერენციები, განგრობითი განათლება, სასწავლო მივლინება	იუსტიციის უმაღლესი სკოლა იუსტიციის უმაღლესი საბჭო
	ეთიკა	სამოსამართლო ეთიკა და მოსამართლეთა ეთიკის წესები	მოსამართლეთა კონფერენცია იუსტიციის უმაღლესი საბჭო
	საინფორმაციო	გამჭვირვალობა, გადაწყვეტილებების გამოქვეყნება, ფინანსური ღიაობა, პერსონალური მონაცემების კონტროლი	იუსტიციის უმაღლესი საბჭო სასამართლოს თავმჯდომარე
ციფრული	მონაცემთა შენახვა, სერვერები, ინტერნეტზე წვდომა, ელექტრონული მართლმსაჯულება	იუსტიციის უმაღლესი საბჭო	
რეგულატორული	პროცედურული წესები, რეგულაციები	იუსტიციის უმაღლესი საბჭო	

30 Supra Note 19, p. 29.  
სასამართლოში კლანური მმართველობის პრობლემებს არაერთი გამოხმაურების საგანი გახდა ქვეყნის შიდა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. ბოლოს ეს პრობლემა აისახა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა შესახებ საქართველოს 2020 წლის ანგარიშში, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/36WHCkw>, (ქართული არაოფიციალური თარგმანი).

31 ცხრილის სტრუქტურისთვის იხ.: Kosar, David. Beyond Judicial Self-governance, German Journal of Law, vol 19, N07, p.1597. ცხრილის მარჯვენა სვეტში მითითებულია კონკრეტული ფუნქციის განხორციელებაზე უფლებამოსილი სასამართლო თვითმმართველობის ორგანოები საქართველოში.

## 5. თვითმმართველობის განხორციელების კონკრეტული მოდელები

### ესტონეთი

სასამართლოების ადმინისტრირება მართლმსაჯულების სისტემაში სრულად არ არის მოქცეული და ერთი კონკრეტული ორგანოს პასუხისმგებლობას არ წარმოადგენს. ადმინისტრირების პრინციპი აწყობილია სასამართლო ხელისუფლებასა და იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლობაზე, ძირითადი ფუნქციები კი გადანაწილებულია იუსტიციის სამინისტროს და მართლმსაჯულების ადმინისტრირების საბჭოს შორის.

*იუსტიციის სამინისტრო:*

განსაზღვრავს ორი ინსტანციის სასამართლოს ტერიტორიულ მოწყობას და იურისდიქციას, მოსამართლეთა საერთო რაოდენობას და თითოეულ სასამართლოში მათ ოდენობას საბჭოსთან შეთანხმებით.

- ნიშნავს და ათავისუფლებს მართლმსაჯულების ადმინისტრირების საბჭოს თანხმობით სასამართლოების თავმჯდომარეებს;
- ქვემდგომი ინსტანციების სასამართლოების ფინანსური აუდიტის ჩატარება შეუძლია.

თვითმმართველობის 5 ორგანო ფუნქციონირებს ესტონეთის მართლმსაჯულების სისტემაში:

- მოსამართლეთა კონფერენცია მოსამართლის შემადგენლობით;
- სასამართლოს ადმინისტრირების საბჭო;
- სადისციპლინო პალატა;
- მოსამართლეთა საგამოცდო კომისია;
- მოსამართლეთა განგრძობით განათლების (training) საბჭო.

თვითმმართველობის ორგანოების მუშაობისა და სასამართლოს სწორი ადმინისტრირების გაანგებებას წარმოადგენს უზენაესი სასამართლო.

სასამართლოს თვითმმართველობის ორგანოა En banc-ი, რომლის შემადგენლობაშიც შედის ქვეყნის ყველა მოსამართლე. თვითმმართველობის ორგანოებში მოსამართლეთა არჩევის გარდა, მას აქვს სასამართლოს საქმიანობის პრობლემებსა და გამოწვევებზე საუბრის და განხილვის ფუნქცია. ესტონეთის En banc-ს განხილული აქვს ისეთი საკითხები, როგორებიცაა მართლმსაჯულებისა და სასამართლო სისტემის განვითარების მიმართულებები, სასამართლოების შესახებ კანონის პროექტი, მოსამართლეთა დატვირთვის შესაძლებლობების ანალიზი, საზოგადოებასთან სასამართლოების ურთიერთობების სტრატეგია.<sup>32</sup>

ესტონეთში თითოეული სასამართლოს ფარგლებში ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედიან ამ სასამართლოს მოსამართლეები. მას იწვევს სასამართლოს თავმჯდომარე ან მოსამართლეების ორი მესამედი. ორგანო გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა უმრავლესობით ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა – საქმეთა განაწილების გეგმის შედგენა, სასამართლოს თავმჯდომარისთვის რეკომენდაციების მიცემა, სასამართლოს ფუნქციონირებისთვის

32 Courts Act art. 38, <https://www.riigiteataja.ee/en/eli/ee/514022014001/consolide>;  
ესტონეთის უზენაესი სასამართლო, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3y6uK7g>, (03/21/2021).



საჭირო საკითხები, მიმართავს იუსტიციის მინისტრს დანიშვნების ან სასამართლოს თავმჯდომარის გათავისუფლების მოთხოვნით<sup>33</sup> და სხვ.

უზენაესი სასამართლო ჩართულია სასამართლოების ადმინისტრირების პროცესში. მას აქვს გარკვეული რეგულატორული და ადმინისტრაციული ფუნქციები, როგორებიცაა რეგიონული სასამართლოს პალატების და პალატებში მოსამართლეების რაოდენობის განსაზღვრა, პალატების თავმჯდომარეების დანიშვნა, ქვემდგომი სასამართლოების ტერიტორიული იურისდიქციის დადგენა. უზენაეს სასამართლოს en banc-ი ასევე განიხილავს საჩივრებს მოსამართლეთა საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

ცალკე ორგანოა სასამართლოების ადმინისტრირების საბჭო (Council for Administration of Court), რომლის ნახევარს წარმოადგენენ en banc-ის მიერ არჩეული მოსამართლეები. საბჭოს ერთ წევრს, რომელიც იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელია, მხოლოდ სათათბირო ხმა აქვს. საბჭოს ფუნქციებია ადმინისტრირების საკითხების მოგვარება იუსტიციის სამინისტროსთან და სასამართლოების თვითმმართველობებთან სრულად შეთანხმების საფუძველზე. საბჭოს მოვალეობებში შედის მოსაზრებების წარდგენა: ადმინისტრირების საკითხებზე, მოსამართლეთა გათავისუფლებაზე, ბიუჯეტზე, საკანონმდებლო ცვლილებაზე, რომელიც მართლმსაჯულებას ეხება და სხვა.

2019 წლიდან ესტონეთში მოქმედებს ეთიკის საბჭო, რომელსაც მოსამართლეთა საკონსულტაციო ფუნქცია აქვს მინიჭებული. ეთიკის საბჭო გამოსცემს რეკომენდაციებს მოსამართლის მიმართვის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. ეთიკის საბჭოს მოსაზრებები და რეკომენდაციები ქვეყნდება უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე და ისინი სარეკომენდაციო ხასიათს ატარებენ. ეთიკის საბჭო შედგება en banc-ის მიერ არჩეული 5 მოსამართლისგან, რომელთა შორის, შეიძლება იყვნენ გადამდგარი მოსამართლეებიც (emeritus judges) და შესაბამისი ექსპერტებიც.

## სლოვენია

სლოვენის მართლმსაჯულების მართვაში ხელისუფლების სამივე შტოა ჩართული. ძირითადი ორგანო არის მართლმსაჯულების საბჭო; თუმცა, თავად მმართველობას არ ახორციელებს დამოუკიდებლად და ინაწილებს ფუნქციებს **სასამართლოს ადმინისტრაციასთან**, რომელიც სასამართლოების დონეზე ხორციელდება, ძირითადად თავმჯდომარეების მიერ – საკადრო საბჭოების მეშვეობით. საკმაოდ ძლიერი ინტიტუტია სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც სრულად ფლობს მენეჯერულ და ადმინისტრაციულ ფუნქციებს კონკრეტულ სასამართლოში, ასევე თავმჯდომარეობს საკადრო საბჭოს. თავმჯდომარეები მონაწილეობენ იმ კანდიდატების წინასწარ შერჩევაში, რომლებსაც წარუდგენს მართლმსაჯულების საბჭო ეროვნულ ასამბლეას (პარლამენტი) დასანიშნად. **სასამართლოს თავმჯდომარეები** ხელმძღვანელობენ ასევე სასამართლოს საკადრო (personnel) საბჭოსაც. ეს უკანასკნელი იქმნება რაიონულ (District), უმაღლეს და უზენაეს სასამართლოების დონეზე, რომელიც შედგება რაიონულ სასამართლოში ექვსი, ხოლო ზემდგომ სასამართლოებში – 4 მოსამართლისგან, ახორციელებს მოსამართლეთა შერჩევა-შეფასებას, მათ კარიერულ საკითხებზე რეკომენდაციების გაცემას.<sup>34</sup> რამდენადაც საკადრო საბჭოს რეკომენდაციებზეა დამოკიდებული მოსამართლეების კარიერა, სასამართლოს თავმჯდომარეები არიან ძალიან გავლენიანი პირები. იუსტიციის მინისტრი პასუხისმგებლობას იღებს მართლმსაჯულების ფუნქციონირებაზე, ქმნის ადმინისტრირების ჩარჩოს, საამისოდ განსაზღვრავს ბიუჯეტს და სასამართლოს მენეჯმენტის დეპარტამენტის მეშვეობით, მონიტორინგს უწევს სასამართლოს ადმინისტრირებას. პარლამენტი ნიშნავს მოსამართლეებს, ამტკიცებს ბიუჯეტს, ირჩევს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც, იმავდროულად, ხელმძღვანელობს ადმინისტრაციას.

33 იუსტიციის მინისტრი ჩართულია მართლმსაჯულების ადმინისტრირებაში ესტონურ მოდელში.

34 Ibid, Courts Act Art. 30, Par.1.

მიუხედავად იმისა, რომ მართლმსაჯულების საბჭო მოსამართლეების დანიშვნასა და სასამართლოს ადმინისტრირებაზე საბოლოო გადაწყვეტილებებს ვერ იღებს, ის სლოვენიაში ძლიერ ინსტიტუციას წარმოადგენს. მის ფუნქციებშია: მოსამართლეების შერჩევა და დასანიშნად წარდგენა, სასამართლოს თავმჯდომარეების დანიშვნა. ის ასევე განიხილავს მოსამართლეთა პრეტენზიებს მათი შეფასების დოკუმენტზე, სხვა საკადრო საკითხებს, ნომინირებას უკეთებს სადისციპლინო ორგანოებს, წარმართავს დისციპლინირების პროცესს და სანქციების აღსრულებას, ეწევა ნორმაშემოქმედებით საქმიანობას, განსაზღვრავს შერჩევის კრიტერიუმებს, ნიშნავს ეთიკის კომისიის წევრებს, გასცემს თანხმობას სასამართლოების მოწყობაზე და სტრუქტურაზე და სხვ. ამ ფუნქციების შესრულებას ვერ ახერხებს შეთავსებით საქმიანობის პირობებში, რის გამოც, მთელი მოსამზადებელი საქმიანობა ტვირთად აწევს სხვა პირებს (დამხმარე პერსონალს), ხოლო გადაწყვეტილებების მიღების ცენტრი, სადღაც სხვაგან ინაცვლებს. დე ფაქტო ამ ფუნქციების განმახორციელებლად საკადრო საბჭოები გვევლინება. შესაბამისად, გავლენებიც სასამართლოების თავმჯდომარეებს და ამ საბჭოს წევრ რამდენიმე მოსამართლეს აქვს. დამატებით, სპეციალური განცალკევებული სამოსამართლო სწავლების არარსებობის პირობებში, ახალბედა მოსამართლეებს „ზრდიან“ მენტორები. ეს გარემოებები აყალიბებს გავლენიან ფენას და მათდამი იერარქიულ დამოკიდებულებას, რაც სოციალისტური მიდგომა – ხელს უწყობს სასამართლო კორპორატივიზმს და თვითმმართველობას აქცევს ფიქციად.

მკვლევრების მოსაზრებით, დე იურე დამოუკიდებლობის პირობებში დე ფაქტო დამოუკიდებლობის არარსებობა გამოწვეულია სისტემის არასწორი გადაწყობით, რაც იმაში გამოიხატა, რომ მოსამართლეები, რომლებიც წინა რეჟიმის დროს არღვევდნენ ადამიანის უფლებებს, უპრობლემოდ დაინიშნენ ხელახლა რეალური ინდივიდუალური შემოწმების გარეშე. მართლმსაჯულების საბჭო იქცა მოსამართლეთა „ქარხანად“, რომელიც ნიშნავდა ძველ რეჟიმში მომუშავე მოსამართლეებს სიებით და არა ინდივიდუალური ნიშნებით. მოსამართლეები, თავის მხრივ აკვირდებოდნენ პოლიტიკურ მმართველობას<sup>35</sup> და სჯეროდათ, რომ სლოვენია პოსტ-კომუნისტური მაფიოზური სახელმწიფო იყო და თავადაც ცდილობდნენ ამის დემონსტრირებას.<sup>36</sup> სლოვენიის იუსტიციის საბჭოს აქვს მინიმალური ეფექტი სისტემის ანგარიშვალდებულებაზე, დამოუკიდებლობასა და გამჭვირვალობაზე, რადგან მისი ფორმალური კომპეტენცია განსხვავდება რეალურად არსებულისგან და არ აქვს თავისი ფუნქციის აღსრულების უნარი. ამის ერთ ერთი მიზეზია გადაწყვეტილებების სხვაგან და სხვა ინტერესში მიღების პრაქტიკა. ძლიერმა თავმჯდომარის მოდელმა ჩამოაყალიბა სისტემაში კოროპრატივიზმი, რაც განაპირობა ოლიგარქიულმა სტრუქტურამ და პოლიტიკური გავლენებისადმი მოწყვლადობამ. ყოველივე ამან კი ხელი შეუწყო სისტემისადმი მოსახლეობის ნდობის შემცირებას<sup>37</sup>

## უკრაინა

უკრაინამ ბოლო პერიოდის რეფორმებით შეარჩია შიდა გაწონასწორებისა და ბალანსის დაცვის გზა. შეიქმნა რამდენიმე ურთიერთდამოკიდებული ორგანო, რომელიც თვითმმართველობას ახორციელებს, მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოებში გაჩნდა საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობის პრეცედენტი (დანართი 1).

35 ქვეყანაში მმართველ ძალას წარმოადგენდა მემარცხენე ცენტრისტული პარტიები, რომელიც ყოფილი კომუნისტური ელიტიტიდან იყო წარმოშობილი; იხ.: Avbelj, Matej. „Contextual Analysis of Judicial Governance in Slovenia, German Law Journal, 2018, p.1916.

36 ლუბლიანას სასამართლოს თავმჯდომარე კონცერტს დაესწრო წითელი ვარსკვლავით და კომუნისტური იუგოსლავიის დროით.. ამ მოქმედებას მეტად ლოიალურად მიუდგა მართლმსაჯულების საბჭო და შემოიფარგლა საჯარო გაფრთხილებით, რასაც არ ეთანხმებოდნენ სხვა მოსამართლეები იმ არგუმენტით, რომ მოსამართლე თავისუფალ დროს სარგებლობს პიროვნული თავისუფლებით. იხ.: Avbelj, Matej. Contextual Analysis of Judicial Governance in Slovenia, German Law Journal 2018, p.1916.

37 ავტორის განმარტებით, 2018 წლის მდგომარეობით, ნდობა 16%-ს არ აღემატება.

**იუსტიციის უმაღლესი საბჭო** – კონსტიტუციური ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლოს დამოუკიდებლობას, ფუნქციონირებს პასუხისმგებლობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვით და მის ფუნქციას შეადგენს მაღალპროფესიული კორპუსის ფორმირება. იუსტიციის საბჭოს 21 წევრთაგან 10 – მოსამართლეთა კონგრესის მიერ არჩეული მოსამართლეა.

**მოსამართლეთა კონგრესი** – მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოა, რომელიც შედგება უკრაინის მოსამართლეების მიერ არჩეული დელეგატებისგან. დელეგატებს ირჩევენ სასამართლოები, ფარული კენჭისყრით. ზოგადი პრინციპია, ყოველ ოც მოსამართლეზე ერთი დელეგატის წარდგენა. ზემდგომი სასამართლოებისთვის კანონით დადგენილია დელეგატთა კონკრეტული რაოდენობა. მაგალითად, უზენაესი სასამართლო 12 დელეგატით არის წარმოდგენილი. მოსამართლეები, რომლებსაც უკავიათ ადმინისტრაციული თანამდებობა, ვერ იქნებიან დელეგატები. კონგრესი ისმენს საკვალიფიკაციო კომისიის, მართლმსაჯულების ადმინისტრირების ხელმძღვანელის და იუსტიციის საბჭოს ანგარიშებს, ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს, იუსტიციის საბჭოს მოსამართლე წევრებს, მოსამართლეთა საბჭოს წევრებს, განიხილავს მართლმსაჯულების თვითმმართველობის პრობლემებს

მოსამართლეთა კონგრესს შეუძლია საბჭოს წევრად აირჩიოს როგორც მოქმედი, ასევე ყოფილი მოსამართლე.<sup>38</sup> არჩევნებამდე თვენახევრით ადრე, ხდება არჩევნების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება. კანდიდატები წარადგენენ თავიანთ განაცხადებს საბჭოს წევრის პოზიციაზე ასარჩევად. სხვა დოკუმენტებთან ერთად, განაცხადს თან ერთვის კანდიდატის მოთხოვნა, რომ ჩაუტარდეს მის კანდიდატურას ლუსტრაცია, უკრაინის ლუსტრაციის კანონის თანახმად, თანხმობა კანდიდატის შემოწმებაზე, ასევე სამოტივაციო წერილი, თუ რატომ სურს იუსტიციის საბჭოს წევრად არჩევა. კანდიდატთა რეგისტრაციის შემდეგ, მისი მოთხოვნა დოკუმენტებთან ერთად ქვეყნდება საჯაროდ – იუსტიციის საბჭოს ვებ-გვერდზე და მედიაში.<sup>39</sup>

სასამართლოს თავმჯდომარეები აირჩევა იმავე სასამართლოს მოსამართლეების მიერ, უმრავლესობით, ფარული კენჭისყრის საფუძველზე.<sup>40</sup>

**მოსამართლეების საბჭო** – აღმასრულებელი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს კონგრესის გადაწყვეტილებების აღსრულებას და მათთან დაკავშირებულ ღონისძიებებს. განიხილავს სასამართლოების მიმდინარე პრობლემებს, მოსამართლეთა სამართლებრივი და სოციალური დაცვის საკითხებს, ანალიზებს საკვალიფიკაციო კომისიის, იუსტიციის საბჭოს წევრის, მოსამართლის, მართლმსაჯულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოქმედებებში ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და წყვეტს მათ იმ შემთხვევაში, თუ კანონი არ ითვალისწინებს სხვაგვარად გადაწყვეტას.

მართლმსაჯულების ადმინისტრაცია – უზრუნველყოფს სასამართლოების შექმნის ან ლიკვიდირების გადაწყვეტილებების აღსრულებას, წარმართავს ბიუჯეტირებისა და მენეჯმენტის სხვა საკითხებს.<sup>41</sup>

**მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კომისია 42** – მისი ფუნქციაა მოსამართლეთა ვაკანსიებზე შესარჩევი კონკურსის ჩატარება და მოსამართლეთა დანიშვნაზე რეკომენდაციების წარდგენა. კომისია შედგება იუსტიციის საბჭოს მიერ 4 წლის ვადით შერჩეული 12 წევრისგან. წევრად შეიძლება დაინიშნოს უკრაინის მოქალაქე, 15-წლიანი იურიდიული პროფესიული გამოცდილებით, უმაღლესი განათლებით, პოლიტიკური ნეიტრალიტეტით. კომისიის წევრებს ეკრძალებათ

38 Law on Ukraine on High Council of Justice, Article 10. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/37ese3j> (05/24/2021).

39 Law on Ukraine on High Council of Justice, chapter 3, Article 10. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/37ese3j> (05/24/2021).

40 Ibid, Art 20.

41 Ibid, Article 147.

42 Ibid, Article 92 (1) of the Law on the Judiciary and Status of Judges (LJSJ).

წევრობის შეთავსება სხვა რომელიმე პოზიციასთან საჯარო სამსახურში, ასევე სასამართლოში ნებისმიერ ადმინისტრაციული პოზიციასთან.<sup>43</sup>

საკვალიფიკაციო კომისიის წევრები შეირჩევიან კონკურსის საფუძველზე. კომისიის წევრთა შერჩევაში მონაწილეობს **შემრჩევი კომისია**, რომელიც შედგება იუსტიციის საბჭოს სამი წევრისგან და 3 საერთაშორისო ექსპერტისგან. საერთაშორისო ექსპერტებს წარადგენენ უკრაინის პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციები კანონის თანახმად.<sup>44</sup> მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კომისიას კანდიდატთა (მოსამართლეთა) კეთილსინდისიერებისა და პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენაში ეხმარება **საჯარო კეთილსინდისიერების საბჭო** – 20 წევრი, რომლებიც უნდა იყვნენ მაღალი რეპუტაციის მქონე პირები შემდეგი წრეებიდან: სამოქალაქო საზოგადოებიდან, ადამიანის უფლებათა დამცველები; იურისტები აკადემიიდან; პრაქტიკოსი იურისტები; ჟურნალისტები. ისინი აირჩევიან სამოქალაქო საზოგადოების (ორგანიზაციების) შეკრებაზე, წინასწარ დადგენილი წესით. ამ ორგანოს არჩევაში არ მონაწილეობენ საჯარო უწყებების წარმომადგენლები, ან სახელმწიფო დაფინანსების მქონე სამოქალაქო ორგანიზაციები.

ვენეციის კომისია არ მიესალმებოდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პარალელურად საკვალიფიკაციო კომისიის არსებობას, თუმცა თავის უკანასკნელ დასკვნაში აღნიშნა, რომ მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კომისია არის წარსულის გადმონაშთი, რადგან იუსტიციის საბჭოს რეფორმირება ვერ მოხერხდა; ამასთან, მისი და ეთიკისა და კეთილსინდისიერების კომისიის შერეული (ადგილობრივი და საერთაშორისო წევრები) შემადგენლობა ხელს შეუწყობს საზოგადოების ნდობის გაზრდას და კორპორატივიზმით გამოწვეული პრობლემების დაძლევას.<sup>45</sup>

**ეთიკის და კეთილსინდისიერების კომისია** – მის ფუნქციებში შედის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კომისიის წევრების შერჩევა, წევრობასთან შესაბამისობაზე დასკვნების წარდგენა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კომისიის წევრების კეთილსინდისიერების და ეთიკის პრინციპების კონტროლი; იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კომისიის წევრის გათავისუფლების შესახებ წინადადებების წარდგენა იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის. მის შემადგენლობაში 6 წევრია, 3 წევრი იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან და 3 – საერთაშორისო ექსპერტი.

## მოლდოვა

მოლდოვის კანონმდებლობა სასამართლოს თვითმმართველობის ცნებას განსაზღვრავს როგორც სასამართლოების უფლებას და შესაძლებლობას – გადაჭრან მართლმსაჯულების პრობლემები დამოუკიდებლად და პასუხისმგებლობით. თვითმმართველობა უნდა განხორციელდეს წარმომადგენლობითობის პრინციპზე დაფუძნებული უფლებამოსილი ორგანოების მიერ პასუხისმგებლობის და მინიჭებული უფლებამოსილებების კეთილსინდისიერად განხორციელების საფუძველზე. კანონით თვითმმართველობის ორგანოებად განსაზღვრულია მოსამართლეთა ასამბლეა და მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო (SCM)<sup>46</sup>. თვითმმართველობის ძირითადი ორგანო არის მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო (SCM) და კანონის მიხედვით, ის დამოუკიდებელი ორგანოა<sup>47</sup>. მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო შედგება 15 წევრისგან, რომელთა შორის არიან: არამოსამარ-

43 Ibid, Article 94.

44 Ibid, Article 87.

45 EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) UKRAINE OPINION ON AMENDMENTS TO THE LEGAL FRAMEWORK GOVERNING THE SUPREME COURT AND JUDICIAL GOVERNANCE BODIES Adopted by the Venice Commission at its 121st Plenary Session (Venice, 6-7 December 2019), p.17, 22, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3zteIEI> (05/21/2021).

46 Law on the Superior Council of Magistracy, No.947 of 19 July 1996, last amended by Law no. 271 of 23 November 2018. Art. 23<sup>2</sup>

47 Law on the Superior Council of Magistracy, No.947 of 19 July 1996, last amended by Law no. 271 of 23 November 2018. 35 Ibid., Articles 1 (1) and 8 (1).



თლე წევრები, ex officio წევრები და მოსამართლეების მიერ არჩეული 7 მოსამართლე წევრი.<sup>48</sup> მოსამართლე წევრებს ირჩევს მოსამართლეთა ასამბლეა. ვენეციის კომისიის დასკვნით, დადებითად შეფასდა საკონსტიტუციო ცვლილება, რომლის თანახმადაც, კონსტიტუციურ დონეზე განისაზღვრა მოსამართლეთა ფართო წარმომადგენლობითობა, რაც ასამბლეის მიერ – ოთხი წევრის პირველი ინსტანციის სასამართლოებიდან, ორი წევრის სააპელაციო, ხოლო ერთი წევრის უზენაესი სასამართლოდან არჩევას ითვალისწინებს<sup>49</sup>. კიდევ ხუთი ორგანო არის მასთან აფილირებული: სადისციპლინო ორგანო (board), მოსამართლეთა ინსპექტორატი, შემრჩევი და კარიერული კოლეგია, მოსამართლეთა შემფასებელი კოლეგია და ეთიკის კომისია. მოსამართლე წევრთა არჩევნები ასამბლეის მიერ მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოში, კოლეჯებსა და დისციპლინურ საბჭოში (შემდგენი საბჭოები და კოლეჯები) ტარდება – წინასაარჩევნო პროცედურის დაცვით.

ასამბლეის შეკრებამდე, არანაკლებ 2 თვით ადრე, საჯაროვდება ინფორმაცია საბჭოებსა და კოლეჯებში არჩევნების გამოცხადების შესახებ. გამოქვეყნებიდან 1 თვის განმავლობაში მოსამართლეებს შეუძლიათ შეიტანონ განაცხადები მუდმივ ან ალტერნატიული წევრობის კანდიდატურებზე. შესაძლებელია მოსაზრებებისა და შეფასების წარდგენა კანდიდატებზე მოსამართლეებისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ. კანდიდატების საბოლოო სია რეგისტრატორის მიერ წარედგინება გენერალურ ასამბლეას სხდომამდე 3 დღით ადრე და გამოქვეყნდება მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე.

მას შემდეგ, რაც ცალ-ცალკე დამტკიცდება კანდიდატთა სიები პირველი ინსტანციის სასამართლოს, უზენაესი სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობიდან, ასამბლეა დაამტკიცებს სპეციალურ კომისიას არჩევნების ჩატარების მიზნით. მოსამართლე კანდიდატების ნომინირებისას წარდგენილ უნდა იქნეს მისი ბიოგრაფიული მონაცემები და ხედვა-სამოქმედო პროგრამა. არჩევნები ფარულია. აირჩევიან მუდმივმოქმედ წევრთან ერთად, ალტერნატიული წევრებიც, რომლებიც წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, იკავებენ წევრის პოზიციას.<sup>50</sup>

## სლოვაკეთი

სლოვაკეთში შექმნილია ძლიერი საბჭოს მოდელი, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, მოსამართლეთა კარიერასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს. ძლიერი ავტონომიის მინიჭება აისახა სისტემის შიგნით არსებული ელიტური ჯგუფების გაძლიერებაზე და შეამცირა სასამართლო სისტემის ანგარიშვალდებულება. მართლმსაჯულების სისტემა იზოლირებულია საზოგადოებისგან და ემსახურება პირად ინტერესებს. ანგარიშვალდებულების მექანიზმები გამოყენებული იქნა ელიტური ჯგუფების ინტერესებში.<sup>51</sup> მოსამართლეთა კონფერენციაზე მოსამართლეების დასახელება შეუძლიათ: მოსამართლეთა საბჭოს, მოსამართლეთა გაერთიანებას, მინიმუმ ათ მოსამართლეს. კანდიდატის ვინაობა უნდა გადაეგზავნოს არაუმეტეს 30 დღით ადრე არჩევნებამდე, წინასწარ არჩეული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს. თუ კანდიდატი ნომინირებულია, მოსამართლეთა საბჭოს ან მოსამართლეთა გაერთიანებას უნდა ახლდეს მისი ნომინირების შესახებ გადაწყვეტილება და შეკრების ოქმი. ათი მოსამართლის მიერ კანდიდატის ნომინირებას თან უნდა დაერთოს მათი ხელმოწერები და პირადი მონაცემები. არჩევნების დაწყებამდე წინასწარ დდება რაიონული სასამართლოების საარჩევნო კომისიები.<sup>52</sup>

48 Ibid., article 3.

49 CDL-PI(2020)001 Urgent Joint Opinion on the draft law on amending the law no. 947/1996 on Superior Council of Magistracy, para. 24. See, also, for a similar consideration, CDL-AD(2018)003, p. 54.

50 General Assembly of Judges REGULATIONS on the functioning of the General Assembly of Judges APPROVED by Decision of the Assembly General of the Judges no. 1 of 23.11.2012 Amended by the AGJ Decision of February 15, 2013 Modified by AGJ Decision no. 7 of March 13, 2015 Modified by the AGJ Decision no. 11 of March 11, 2016.

51 Spac, Samuel, Katerina Sipulova & Marina Urbanikova. Capturing The Judiciary from Inside, The Story of Judicial Self-Governance in Slovakia, German Law Journal, Vol 19. No 07, pp. 1741-1768.

52 ACT of 11 April 2002, 185/2002 Coll. On the Judicial Council of the Slovak Republic and on amendments of certain

## 6. სასამართლოს თავმჯდომარეები

საერთაშორისო სტანდარტები მკაფიოდ მიუთითებს სასამართლოების თავმჯდომარის სხვა მოსამართლეებთან თანასწორობაზე იმ განსხვავებით, რომ მათ დამატებით მხოლოდ ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ფუნქციები აქვთ. სასამართლოს თავმჯდომარის როლი მაქსიმალურად უნდა შეზღუდოს იმგვარად, რომ ისინი ინაწილებდნენ იმ ფუნქციებს, რასაც იმავე სასამართლოს მოსამართლეები. თავმჯდომარეები არ უნდა ერეოდნენ სხვა მოსამართლეების სამოსამართლო საქმიანობაში, არ უნდა იყვნენ ჩართულნი მოსამართლეთა შერჩევაში, არ უნდა ჰქონდეთ გავლენა მოსამართლეთა ანაზღაურებაზე. მათ შეიძლება ჰყავდეთ წარმომადგენლები და ჰქონდეთ ადმინისტრაციული ფუნქციები, რომლებიც ეხება სასამართლოს არამოსამართლე კონტიგენტის კონტროლს. არ უნდა იყვნებდნენ თავიანთ პოზიციას იმგვარად, რომ სასამართლოს რესურსების განაწილებით, მანიპულირებდნენ მოსამართლეებზე. მათ არ უნდა შეეძლოთ დისციპლინური ზომის ინიცირება ან შეფარდება. თავმჯდომარეების შერჩევა უნდა მოხდეს გამჭვირვალე პროცედურით, კონკურსის წესით იმგვარად, რომ ყველა მოსამართლისთვის იყოს შესაძლებელი მასში მონაწილეობა. უკეთესია, თუ მათი არჩევა მოხდება თავად ამ სასამართლოს მოსამართლეების მიერ.<sup>53</sup> თავმჯდომარეობის ვადა უნდა იყოს განსაზღვრული და მისი გაგრძელება არ უნდა დაიშვებოდეს.<sup>54</sup>

სასამართლოს თავმჯდომარე არ უნდა ჩანდეს „რიგით“ მოსამართლეებზე იერარქიულად მაღლა მდგომად. მას არ უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა რაიმე ფორმით მიუთითოს მოსამართლეს მის წარმოებაში არსებულ საქმეზე როგორც დე იურე, ისე დე ფაქტო.<sup>55</sup>

თავმჯდომარეების დანიშვნა სხვადასხვა მოდელში უფრო მეტად სასამართლო სისტემის შიდა რეგულირების საკითხს წარმოადგენს. მართლმსაჯულების საბჭოები, ერთ შემთხვევაში, თავად ნიშნავენ სასამართლოს თავმჯდომარეებს (თუმცა, გარე აქტორების მონაწილეობა, ძირითადად, იკვეთება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნაში).

პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში სასამართლოს თავმჯდომარეები ისტორიულ გამოცდილებას მეტ-ნაკლებად ინარჩუნებენ და ითვლებიან გავლენიან მოსამართლეებად. თუკი ერთ შემთხვევაში, მათი ძალაუფლება კანონით გათვალისწინებული ფუნქციებით გაძლიერებულია, კანონით მათი ძალაუფლების შეზღუდვის შემთხვევაში, ისინი ფორმალური გავლენის შენარჩუნებას მხოლოდ იმ ფაქტორითაც ახერხებენ, რომ სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობის მატარებლები არიან. თავის მხრივ, მათი გავლენის შენარჩუნებას ხელს უწყობს მოსამართლეების პოსტსაბჭოური თანამდებობრივი მორჩილების მენტალობა.

საქართველოს კანონმდებლობით, არაერთგზის დაზუსტდა და სხვადასხვა რედაქციით განისაზღვრა სასამართლოს თავმჯდომარეების ჩაურევლობა მოსამართლის საქმიანობაში; თუმცა, კანონმდებელმა უარი ვერ თქვა თავმჯდომარისთვის შენარჩუნებინა დადგენილი უპირატესობები კანონის დონეზე. განვიხილოთ სასამართლოს თავმჯდომარის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმები უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარიდან, პირველი ინსტანციის სასამართლოების თავმჯდომარეების ჩათვლით.

Acts.

53 KYIV RECOMMENDATIONS ON JUDICIAL INDEPENDENCE IN EASTERN EUROPE, SOUTH CAUCASUS AND CENTRAL ASIA – Judicial Administration, Selection and Accountability – Kyiv, 23-25 June 2010, <https://www.osce.org/files/f/documents/a/3/73487.pdf> (07/27/2021)

54 Ibid, par. 15.

55 CDL-AD(2017)018 Or.Engl. EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) BULGARIA Par. 83; ხელმისაწვდომია, <https://bit.ly/3zyWOAB>, (03/22/2021).

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ირჩევს პარლამენტი, უზენაესი სასამართლოს წევრ-თაგან ათი წლის ვადით. პარლამენტს მისი კანდიდატურა წარედგინება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2/3-ის წარდგინებით<sup>56</sup>. მისი გათავისუფლება ხდება იმპიჩმენტის წესით. თანამდებობრივად – უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის<sup>57</sup> თავმჯდომარეა. დიდი პალატის წევრები არიან ასევე უზენაესი სასამართლოს პალატების თავმჯდომარეები. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ასევე არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ex officio წევრი.<sup>58</sup>

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეები თანამდებობრივად წარმოადგენენ უზენაესი სასამართლოს პლენუმის წევრებს<sup>59</sup>. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია დანიშნოს მოსამართლეთა სადისციპლინო და საკვალიფიკაციო პალატების<sup>60</sup> წევრი დროებით, იმ შემთხვევაში, თუ მისი არჩევა ვერ მოხდა კანონით დადგენილი წესით. უზენაესი სასამართლოს პალატებს ჰყავთ თავმჯდომარეები, რომლებიც იმავდროულად არიან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები, ხოლო მათგან ერთ-ერთი – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

სააპელაციო სასამართლოს, რაიონული საქალაქო სასამართლოების თავმჯდომარეებს ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო 5 წლის ვადით. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრების უმრავლესობით, რაც შესაძლებელს ხდის თავმჯდომარის დანიშვნას საბჭოს 15 წევრიდან, მხოლოდ ხუთი წევრის მხარდაჭერით. შესაბამისი სასამართლოების მოსამართლეთა მონაწილეობა ამ პროცესში მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ მათთან საბჭო გადის კონსულტაციებს, კანონით დაუდგენელი ფორმატით. არ არის დადგენილი თავმჯდომარის კანდიდატის მოსამართლეების მხრიდან ნომინირების წესი. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილე. მათი ფუნქციები ძირითადად, დუბლირებული ან, ბუნდოვანია.<sup>61</sup> ქვემდგომ სასამართლოებს ჰყავთ პალატებისა და კოლეგიების თავმჯდომარეები, თუმცა მათი ფუნქციები კანონით არ არის განსაზღვრული.

განსხვავებით სააპელაციო სასამართლოსგან, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს შემთხვევაში, თავმჯდომარეს არ ჰყავს მოადგილე. მისი არყოფნის შემთხვევაში, თავმჯდომარის ფუნქციებს ასრულებს ერთ-ერთი მოსამართლე. სასამართლოებს ჰყავთ ასევე მენეჯერი, რომლის ფუნქციაა ასევე სასამართლო აპარატის ორგანიზაციული ხელმძღვანელობა.<sup>62</sup>

საქმის განაწილების ელექტრონული სისტემის არსებობის მიუხედავად, სასამართლოს თავმჯდომარეს აქვს განაწილებაში საგამონაკლისო წესით ჩარევის შესაძლებლობა. თავმჯდომარეს შეუძლია ასევე, კონკრეტულ შემთხვევაში, სხვა სპეციალიზაციის მოსამართლეს დაავალოს საქმის განხილვა, ან – ერთპიროვნულად შეუცვალოს ვიწრო სპეციალიზაცია<sup>63</sup>. ამ მოქმედებით,

56 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 61.

57 უზენაესი სასამართლოს 9-წევრიანი პალატა, რომელიც განსაკუთრებულად რთულ საქმეებს განიხილავს. იხ: საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, მუხლი 17.

58 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 64.

59 საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ მუხლი 18 უზენაესი სასამართლოს პლენუმში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისგან შემდგარი ორგანო, რომელიც იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს.

60 მოსამართლეთა საკვალიფიკაციო პალატა განიხილავს საჩივრებს მოსამართლის თანამდებობაზე განწესებაზე – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უარის თაობაზე. იქვე, მუხლი 19<sup>1</sup>

61 სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე ზედამხედველობს სასამართლო აპარატის მუშაობას, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე თავმჯდომარის დავალებით ზედამხედველობს სასამართლოს აპარატის მუშაობას; სასამართლოს თავმჯდომარის დავალებით, მართლმსაჯულების ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით, ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს. იქვე, მუხლი 25, 26.

62 იქვე, მუხლი 56.

63 თბილისის სააპელაციო სასამართლოსა და ზოგიერთ პირველი ინსტანციის სასამართლოში კონკრეტული დარგის კოლეგიებსა თუ პალატებში არის ვიწრო სპეციალიზაციები. კოლეგიებსა და პალატებში მოსამართლეებს ანაწილებს იუსტიციის საბჭო, ვიწრო სპეციალიზაციაში – სასამართლოს თავმჯდომარე.



ფაქტობრივად, თავმჯდომარეს აქვს საქმის განაწილებაზე ზემოქმედების ბერკეტი, რომლის მეშვეობითაც არა მხოლოდ კონკრეტული საქმის მიტანა შეუძლია კონკრეტულ მოსამართლემდე, არამედ, მოსამართლეთა უმრავლესობის ერთპიროვნული ფორმირებაც კი საქმის კოლეგიური განხილვის შემთხვევაში – მოსამართლის მიყვანა საქმემდე.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს თავმჯდომარის საქმიანობა დიდად დატვირთული არ არის, მათთვის გათვალისწინებულია შეღავათი განსახილველ საქმეთა რაოდენობის კუთხითაც. ეს შეღავათი იწყება სხვა მოსამართლეთა დატვირთულობის 50%-დან და საქართველოს უზენაესი სასამართლოს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს და თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეების შემთხვევაში – არაუმეტეს 5%-ით განისაზღვრება.<sup>64</sup>

საქართველოს კანონით, დაშვებულია სასამართლოს თავმჯდომარეების არჩევა იუსტიციის საბჭოს წევრებად. მათ აქვთ განსაზღვრული ოთხადგილიანი კვოტა<sup>65</sup>, რომელზეც ცალკე კენჭისყრა ტარდება თავმჯდომარეების (კოლეგიების და პალატების თავმჯდომარეებს) შორის. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სათანადო ხმები თავმჯდომარემ (კოლეგიების და პალატების თავმჯდომარემ) ვერ მოაგროვეს, შესაძლოა ამ ადგილზე კენჭი ეყაროს სხვა მოსამართლეს. ამგვარი წესი პლურალისტური გარემოს არსებობის პირობებშიც კი, განსხვავებულ საარჩევნო შანსებს აძლევს თავმჯდომარეებსა და სხვა მოსამართლეებს იუსტიციის საბჭოში ადგილის დასაკავებლად; იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს, პალატის, კოლეგიის თავმჯდომარის, ან სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა ჯამში 36, სულ მოსამართლე კი – 326 პირია. ამდენად, ოთხ ადგილზე არჩევა ხდება მაქსიმუმ 36 კანდიდატს შორის, როდესაც სხვა მოსამართლეები აირჩევიან 8 ადგილზე – 326-დან.

2007-08 წლებში მასიურად შეივსო სასამართლოს თავმჯდომარეების პოზიციები. ძირითადად, თანამდებობაზე დაინიშნენ სამოსამართლო გამოცდილების არმქონე პირები პროკურატურიდან<sup>66</sup>, ან ძალოვანი სამინისტროებიდან. 2012 წლის ოქტომბერში, საპარლამენტო არჩევნების შედეგად, ხელისუფლების ცვლილებისას, იუსტიციის საბჭომ ამ პირებს ჯერ კიდევ 5-წლიანი ვადის გასვლამდე გაუგრძელა უფლებამოსილების ვადადა ისინი ხელახალი 5-წლიანი ვადით დანიშნა თავმჯდომარეების პოზიციებზე. ამით, მათ გარანტირებულად შეინარჩუნეს პოზიციები მანამ, სანამ იუსტიციის საბჭოს შემადგენლობა შეიცვლებოდა. ფაქტობრივად, ეს პირები 2007-08 წლიდან დღემდე ინარჩუნებენ თავმჯდომარეების პოზიციებს ადგილმონაცვლეობის მექანიზმის გამოყენებით. ასე ჩამოყალიბდა მუდმივი თავმჯდომარეების – როგორც პრივილეგირებული მოსამართლეების ფენა,<sup>67</sup> რომელიც ინარჩუნებს გავლენას მოსამართლეებზე.

განხორციელებული რეფორმების შედეგად, კანონმდებელმა უარი თქვა არაერთ პროგრესულ ინიციატივაზე, გავლენები გაუზარდა ადმინისტრაციული თანამდებობის მოსამართლეებს, გაზარდა შესაძლებლობები სწორედ გავლენიანი მოსამართლეების ხელში ძალაუფლების დასაბრუნებლად. აღნიშნული ძირითადად განაპირობა რეფორმების შინაარსში ისეთი ასპექტების უგულვებლყოფამ, როგორებიცაა: სასამართლოში ინტერესთა ჯგუფების არსებობა, მათი ფაქტობრივი

64 საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების ახალი სისტემის სამართლებრივი და ტექნიკური ანალიზი, გვ 12. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3rwKG06>, (05/12/2021)

65 2013 წლის საკანონმდებლო ცვლილებით, თავმჯდომარეები გამოიყვანეს საბჭოდან, მაგრამ კოლეგიების თავმჯდომარეების რაოდენობა შეიზღუდა 3-მდე. თუმცა, 2016 წლის 29 დეკემბერს შესული ცვლილებებით, თავმჯდომარეების შესაძლო რაოდენობა იუსტიციის საბჭოში გაიზარდა და განისაზღვრა არაუმეტეს წევრთა ნახევრით. იხ.: კანონის 47.4 მუხლი.

66 2008 წლის ნოემბრიდან პროკურატურა იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შევიდა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების სახით. პროკურატურის სისტემას საერთო ხელმძღვანელობას უწევდა იუსტიციის მინისტრი. 2018 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ, ის დამოუკიდებელ ორგანოდ იქნა აღიარებული. იხ.: ორგანული კანონი „პროკურატურის შეახებ“. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე <https://pog.gov.ge/history>

67 თავმჯდომარეების დანიშვნის გადაწყვეტილებები გამოქვეყნებულია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე [www.hcoj.gov.ge](http://www.hcoj.gov.ge).



ძალაუფლება, ფორმალური და არაფორმალური გავლენები, იერარქიები და სტატუსები, რომლებიც წლების განმავლობაში იქმნებოდა და ძლიერდებოდა. ცვლილებებმა კიდევ უფრო გააძლიერა ადმინისტრაციული თანამდებობების მქონე პირების ძალაუფლება, რამაც გააფართოვა და გააძლიერა სწორედ ის ჯგუფები, რომლებიც ინდივიდუალური დამოუკიდებლობის საფრთხეს წარმოადგენენ. პარალელურად, რეფორმებში მინიმალური წილი ჰქონდა ანგარიშვალდებულების გაზრდის ნაწილს, სისტემის შიგნით არ არის შექმნილი შეკავების და გაწონასწორების მექანიზმი, რამაც გავლენიანი ჯგუფის ხელში ძალაუფლების მოქცევისთვის ნოყიერი ნიადაგი შექმნა.<sup>68</sup>

მოსამართლეებზე გარე და შიდა ზეწოლის რისკები რჩება თუ ძალაუფლების ბერკეტები რამდენიმე გავლენიანი მოსამართლის ხელში იყრის თავს. მოსამართლეები, რომლებიც რეფორმამდე სასამართლოებს თავმჯდომარეობდნენ, უმეტესწილად, არა მხოლოდ ინარჩუნებენ ამ თანამდებობებს (და შესაბამისი სასამართლოების მოსამართლეებზე ზემოქმედების ბერკეტებს), არამედ დამატებით, იუსტიციის საბჭოების წევრებიც ხდებიან (სადაც ამას კანონი უშვებს), ან ამ ორგანოებს თავიანთი მარიონეტებით აკომპლექტებენ.<sup>69</sup>

კვლევების მიხედვით, ქვეყნების ნაწილმა გააანალიზა პოს-ტსაბჭოური იერარქიული მოდელი და აკრძალა იუსტიციის საბჭოში სასამართლოების თავმჯდომარეების არჩევა (ხორვატია, პოლონეთი, სლოვაკეთი). ეს მიდგომა, გარკვეულწილად, ამცირებს ძალაუფლების ერთ ხელში მოქცევის რისკს, თუმცა საკმარისად ვერ ჩაითვლება პოს-ტკომუნისტური მენტალობის ქვეყნებში. თავმჯდომარეები (ადმინისტრაციული თანამდებობების პირები) აღიქმებოდნენ „ბოსებად“ იუსტიციის სამინისტროს მმართველობის დროინდელ სასამართლოებში. ბიუროკრატიული ანგარიშვალდებულების კულტურა რთულად აღმოფხვრადია. სასამართლოს თავმჯდომარეებს რჩებათ ფორმალური თუ არაფორმალური გზები, რათა მოსამართლეებს თავიანთი შეთავაზება მიაღებინონ და სანდო პირები აარჩევიონ საბჭოში, ისე, რომ მმართველობა მათივე მარიონეტების ხელში აღმოჩნდეს. 2012 წელს სლოვაკეთის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, არჩევნებამდე რამდენიმე დღით, ადრე წერილი გაუგზავნა მოსამართლეებს, სადაც მითითებული იყო მოსამართლეების სია, რომლებისთვისაც მხარი უნდა დაეჭირათ. მოსამართლეებზე გავლენის მოსახდენად, მათ აქვთ არაფორმალური ბერკეტებიც: ინფორმაცია სასამართლოში არსებული მდგომარეობის შესახებ, კონკრეტული მოსამართლის საჭიროებების შესახებ. რუსეთში სასამართლოს თავმჯდომარეებს შეუძლიათ მოსამართლეებს შესთავაზონ საშვებულებო ტურები, დაეხმარონ ბინის მიღებაში, პრესტიჟულ სკოლებში ბავშვების მოხვედრაში. რუსეთში სასამართლოს თავმჯდომარე არის ავტორიტეტული ფიგურა, რომელიც წარმოადგენს სასამართლოს სისტემის გარეთ, მათ შორის – არაფორმალურ გარიგებებში იმყოფება პოლიტიკურ ხელისუფლებასთან, რამდენადაც მისი კეთილგანწყობა და მხარდაჭერა მნიშვნელოვანია სასამართლოს კეთილდღეობისთვის. ავტორის მოსაზრებით, „მართლმსაჯულებითი ოლიგარქიული“ მენტალობა რთული აღმოსაფხვრელია. თუმცა, შესაძლებელია სასამართლოს თავმჯდომარის როლის დასუსტება ან დაბალანსება რამდენიმე მექანიზმით: მათი სრულად ჩამოცილება როგორც საქმეთა განაწილების პროცესისგან, ისე მოსამართლეების კარიერული განვითარების საკითხებიდან, მათ ხელში არსებული მექანიზმების გადანაწილება სხვა შერეული შემადგენლობის ორგანოებზე, თავმჯდომარეობის ვადების შემცირება და როტაციული მეთოდით ამ პოზიციაზე დანიშვნა.<sup>70</sup>

68 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მართლმსაჯულების რეფორმა საქართველოში 2013-2021, გვ 70-72, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3iOcr6K>

69 წერეთელი ნინო, სალომე კვირიკაშვილი. მოსამართლეთა თვითმმართველობა საქართველოში, სტატიების კრებული მართლმსაჯულებაზე, ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3kVf5UG>.

70 Kosar, David. Perils of Judicial Self-Government in transitional societies, Cambridge University Press, 2017 pp 389-403. ავტორი მიმოიხილავს მკვლევარების – Daniela Piana, Judicial Accountabilities in New Europe, From Rule of Law to Quality of Justice, Alena Ledeneva “From Russia with Blat: Can Informal Networks Help Modernize Russia, Peter H Solomon “Authoritarian Legality and Informal Practices: Judges, Lawyers and the State in Russia and China.

## 7. მოსამართლის ინდივიდუალური დამოუკიდებლობის საფრთხეები და მათი გავლენა მოსამართლის ქცევაზე, კორუპციის რისკების წინაპირობები<sup>71</sup>

ჰიბრიდულ პოლიტიკური რეჟიმის ქვეყნებისთვის სასამართლო ხელისუფლების სოციალური მოწყობა რთული პროცესია. სისტემა ეძებს წინააღმდეგობის გაწევის საშუალებებს (off bench resistance) გარე საფრთხეებისგან თავის დასაცავად, რაც ავტონომიურობის გამოვლინებაა. მოსამართლეების თავდაცვა, როგორც წესი, გამოიხატება დამრღვევების მხილებაში (გარე გავლენების განმხორციელებელ პირების) და თავის დასაცავად მოკავშირეების ძებნაში. ქართულ რეალობაში მოსამართლეთა თავდაცვითი ქცევა მხოლოდ საზოგადოების მოთხოვნის წინააღმდეგ გაერთიანებით გამოიყენება და ძირითად მოკავშირედ მხოლოდ პოლიტიკური მმართველი ძალა აღიქმება – რაც სრულად დამოკიდებულს ხდის სისტემის ავტონომიურობას გარე პოლიტიკურ ნებაზე.

**მოსამართლეთა ერთიანობა დომინანტი ჯგუფის მიერ ძალაუფლების შენარჩუნებას ემსახურება. რჩება შთაბეჭდილება, რომ მოსამართლეები იცავენ არა კონკრეტულ ინსტიტუტებს და დამოუკიდებლობის სტრუქტურულ გარანტიებს, არამედ გავლენიან მოსამართლეებს, მათ წვდომას მმართველობის ბერკეტებზე, მათ (და საკუთარ) ვიწრო ინტერესებს<sup>72</sup>.**

მოსამართლეთა ავტონომიის უკეთ გასაგებად საკმარისი არ არის მათი, როგორც მართლმსაჯულების განმხორციელებელი სუბიექტის როლში წარმოდგენა. მნიშვნელოვანია, მოსამართ-

71 წინამდებარე საკითხი დამუშავებულია სტატიის Judges and Their Allies, rethinking judicial autonomy through the prism of off-bench resistance, მიხედვით, იხ.: Trochev, Alexi, Rachel Ellet. Judges and Their Allies..., Journal of law and courts, 2014 .

72 Supra note 72 p.68.

„მე ვარ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, რომელიც აირჩია მოსამართლეთა კონფერენციამ. როდესაც სასამართლო კორუფსი უყურებს, რომ მათ მიერ არჩეულ პირზე ხორციელდება თავდასხმა და ასეთი ზეწოლა, ისინი ამას აღიქვამენ ზეწოლად და ამ ზეწოლის დაქვემდებარების შემთხვევაში, ზეწოლა განხორციელდება თითოეულ მათგანზე. ამიტომ, სასამართლო კორუფსია ეს საფრთხედ აღიქვა.“ ზეწოლაში იუსტიციის საბჭოს იმდროინდელი მდივანი მოიაზრებს საზოგადოების, მედიის არსამთავრობო ორგანიზაციების, ოპოზიციური პარტიების რეაქციებს, რაც მოჰყვამის მოსამართლედ უვადოდ დანიშვნას, 2015 წლის დეკემბერში. 2016 წელს, მოსამართლეთა კონფერენციაზე მოსამართლეებმა შეიმუშავეს მიმართვა, არასამთავრობო სექტორის, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, პარლამენტის თავმჯდომარის, პრეზიდენტის წინააღმდეგ და მოუწოდეს შეეწყვიტათ სასამართლოს საზოგადოებასთან დაპირისპირების მცდელობა. საზოგადოებრივი მღელვარება უკავშირდებოდა ამ მოსამართლის მიერ 2006 წელს ე.წ. „გირგვლიანის საქმის“ განხილვას, რომელიც პოლიციელთა მიერ გატაცების და ანგარიშსწორების შემდეგ გარდაცვლილი იპოვეს. საზოგადოების პროტესტი გამოიწვია ამ საქმეზე განხორციელებულმა მართლმსაჯულებამ, რადგან განჩნდა მოსაზრება, რომ დანაშაულის გამოძიებამ და სასამართლომ ითანამშრომლეს ხელისუფლების ინტერესებში, რათა დანაშაულის ყველა მონაწილე არ გამოვლენილიყო, ხოლო მსჯავრდებულებს ლოიალურად მიდგომოდნენ. ამ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ კონვენციის მეექვსე მუხლის დარღვევა არ დაადგინა, თუმცა გადაწყვეტილების ტექსტში აღნიშნა, რომ სასამართლო შემფოთებულია თუ როგორ ცდილობდა ხელისუფლების სამივე შტო იმის ორგანიზებას, რომ საქმეზე მართლმსაჯულება არ აღსრულებულიყო. გადაწყვეტილებით გაკრიტიკებული იყო დანაშაულის გამოძიების პროცესი, რომლის შედეგადაც მოხდა დანაშაულის არასწორი კვალიფიკაცია. სასამართლომ ასევე იმსჯელა სასჯელის არასაკმარისობის საკითხზე. შიდა სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ისეთი აშკარად დამამძიმებელი გარემოება, როგორიცაა სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ მსხვერპლის მიმართ სრულიად შეგნებულად ჩადენილი დამამძიმებელი და განსაკუთრებით სასტიკი მოპყრობა (პარაგრაფი 272). 2013 წელს იუსტიციის საბჭოს ვადამდე დათხოვის შემდეგ, მურუსიძე საბჭოს მდივანად აირჩია მოსამართლეთა კონფერენციამ აბსოლუტური უმრავლესობით.

ლევების სოციალურ და პოლიტიკურ აქტორებად აღქმა და საფუძვლიანი ანალიზი თუ როგორ იქცევიან ისინი დარბაზს გარეთ, როგორც მოსამართლეები. მათი ეს ქცევა გამოიხატება მოკავშირეების ძებნაში, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია სასამართლოს ავტონომიურობის განსაზღვრისთვის, ვიდრე მათი საქმიანობა დარბაზებში.

ჰიბრიდული რეჟიმის ქვეყნებში გამოიკვეთა თავდაცვის ინსტიტუტით ნაკარნახევი, გარე მოკავშირის ძიების ხუთი მეთოდი. მოსამართლეები აწარმოებენ მოლაპარაკებებს მეგობრებთან და ეძებენ ასევე საერთო ინტერესებს მოწინააღმდეგეებთან, მიმართავენ მხარდაჭერისთვის საზოგადოებას, ორგანიზებას უწევენ და აწყობენ ამბოხს, აწვდიან ინფორმაციას მედიას, მიმართავენ სხვა ქვეყანას თავშესაფრისთვის.

მოსამართლის ავტონომია არის მისი თავისუფლება არასასურველი გავლენისგან და იმ პერსონალური თუ პროფესიული ზიანისგან, რაც შეიძლება მიაღვეს მართლმსაჯულების განხორციელების გამო. ჰიბრიდული რეჟიმის მოსამართლეები საკმაოდ სუსტები, ფრთხილები და ზედმეტად კეთილგანწყობილნი არიან იმისთვის, რომ შეასრულონ პოლიტიკური პროცესების დამაბალანსებლის როლი. ავტონომიურობის ხელყოფა ჰიბრიდული რეჟიმების გამოცდილებით სხვადასხვა მეთოდით არის შესაძლებელი ისე, რომ უშუალოდ მართლმსაჯულებაში ჩარევა არ მოხდეს.<sup>73</sup> მოსამართლეები ან ეგუებიან ამ მდგომარეობას და ღებულობენ რეჟიმის სასურველ გადაწყვეტილებას, ან – იცავენ ავტონომიურობას და ადგებიან გარე მოკავშირეების ძებნის გზას. თუ რომელ გზას ირჩევენ მოსამართლეები, დამოკიდებულია მათ შინაგან განწყობაზე, ღირებულებებზე, უსაფრთხოებაზე. ჰიბრიდული რეჟიმის ქვეყნების მოსამართლეებისთვის ასევე დამახასიათებელია თავდაცვის მიზნით კორპორატიული კავშირების ძებნა. ასეთ ქვეყნებში, მოსამართლეები, რომლებიც ავტონომიურობას იჩენენ, ხშირად წარმოადგენენ აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან თავდასხმის და შეურაცხყოფის ობიექტებს „მას, ვისაც სურს ილაღადოს დამოუკიდებლობაზე, შეუძლია წავიდეს მარსზე და იქ აკეთოს ეს.“ – მოსამართლეების მიმართულებით ნათქვამი ეს სიტყვები ეკუთვნის სერბეთის პრემიერ-მინისტრს.<sup>74</sup>

მოსამართლეთაგან რეზისტენტულობის გამოვლენა დარბაზს გარეთ (off bench resistance) არის აქტიური შეტევათი ან პასიური დამცავი მოქმედება, რომლითაც ისინი ცდილობენ თავი დააღწიონ არასასურველ შეტევებს. ეს მოქმედება გარკვეულ რისკებს უკავშირდება, რადგან 1. მართლმსაჯულების წარმომადგენლების მიმართ მხარდაჭერა უფრო სუსტი და არამდგრადია, ვიდრე პოლიტიკური აქტორების. 2. მოსამართლეების კომუნიკაციის საშუალებები სუსტია და მათი სასაუბრო ენაც ნაკლებად გასაგები, პოლიტიკოსებთან შედარებით. 3. მოსამართლეები კრიზისის განმუხტვის მცდელობით, უფრო მეტად აღვივებენ მას.

ჰიბრიდულ რეჟიმებში მოსამართლეები რეზისტენტულობის გამოსავლენად შემდეგი არჩევანი აქვთ:

- საფრთხის წყაროსთან ფარული მოლაპარაკებები;
- ღია ან ფარული მოკავშირეების მობილიზება;
- საზოგადოებრივი ურთიერთობის კამპანიები;
- კოლექტიური პროტესტი.

ძირითადად, ასეთი ქცევა მოსალოდნელია ე.წ. მაღალი რანგის (senior) და გამოცდილების მქონე მოსამართლეების მხრიდან, ვინაიდან, სწორედ ისინი შეიძლება იყვნენ გავლენების სამიზნეები – აქვთ მეტი გამოცდილება და უფრო მეტი აქვთ დასაკარგი, ვიდრე ახალბედა მოსამართლეებს.

73 სტატიის ავტორი იხსენებს სხვადასხვა შემთხვევებს: პაკისტანში 1977 წელს მოსამართლეებს ფიცი დაადებინეს აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე, ყირგიზეთსა და უგანდაში 2005-06 წლებში ადგილი ჰქონდა სასამართლო შენობებზე შეტევებს, არასასურველი გადაწყვეტილებების იგნორირება აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან (ბელარუსი, 1996), სასამართლოების გაუქმება (უკრაინა, 2008) 1993 წელს რუსეთში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს მოუკლეს კატა.

74 Judges and Their Allies, Beloit Colleg, Journal of Law and Court, Spring 2014 (Serbia's Prime Minister Zoran Đinđić 2001-2003).



## საფრთხის წყაროსთან ფარული მოლაპარაკებები

მაღალი რანგის მოსამართლეები იქცევიან დიპლომატიურად, აწარმოებენ მოლაპარაკებებს პოლიტიკოსებთან სხვა გარე აქტიორებთან. თავის მხრივ, ამ მოლაპარაკებებმა შეიძლება თავად მიიღონ ჩარევის სახე, როდესაც მათ საპასუხოდ მოთხოვენ წინასწარ გადაწყვეტილების შედეგის გაცნობას, ან მის შეცვლას. ასეთ დროს განსაკუთრებულია მაღალი იერარქიის სასამართლოს თავმჯდომარის როლი: ის ან დგება მოსამართლეების, ან არაფორმალური გავლენის განმხორციელებელი სუბიექტის მხარეს. ასეთი შემთხვევები დაფიქსირდა 2005-08 წლებში სამხრეთ აფრიკის, სამხრეთ ამერიკის ქვეყნებსა და ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში.

## მოკავშირეების მობილიზება

თავდაცვის მეთოდს წარმოადგენს შიდა და საერთაშორისო მოკავშირეების ფარული მობილიზება – ახლობლების, ნათესავების, კოლეგების, თანაკურსელების რესურსის გამოყენება მოსამართლეების მხარდასაჭერად ყველანაირი ფორმით: მედიაში, სოც. ქსელებში, მიმართავენ ფიზიკურ თავდაცვასაც კი. უკრაინელი მოსამართლეებისთვის საარჩევნო დავების თავიდან აცილების მიზნით, მათ მოკავშირეებად მოველინენ ექიმები, რომლებმაც გასცეს საავადმყოფო ფურცელი, რათა მოსამართლეები საარჩევნო კამპანიის პერიოდში ყოფილიყვნენ საავადმყოფოში და თავი აერიდებინათ მიმდინარე პროცესებისგან.

გარე მოკავშირეებს წარმოადგენენ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები, საელჩოები, რომელთა დახმარების იმედი აქვს პოლიტიკურ ძალებს. მათ შეუძლიათ, თავის მხრივ, გავლენა იქონიონ ავტონომიურობის დამრღვევ სუბიექტებზე, დაფინანსების შემცირებით, თანამშრომლობის გზების გადახედვით. ყოფილა გარე მოკავშირეების მეშვეობით გადარჩენის შემთხვევები, როდესაც მოსამართლეებმა დატოვეს ქვეყანა და მოითხოვეს თავშესაფარი.

ავტონომიურობის დასაცავად მოსამართლეები ღიადაც ეძებენ მოკავშირეებს. ისინი შეიძლება იყვნენ თავისუფალი პროფესიული გაერთიანებები, მაგალითისთვის ადვოკატები, არასამთავრობო სექტორები, რომელთა ინტერესშია სასამართლოს ავტონომიურობა და დაცვა გარე გავლენებისგან. შესაძლოა ღია თანამშრომლობა და მხარდაჭერის მიღება თავად ხელისუფლებაში მყოფი სუბიექტებისგან. თუმცა, შესაძლოა, მოკავშირეობა გარე საფრთხეებისგან დაცვის მიზნით – თავად გადაიზარდოს საფრთხეში.<sup>75</sup>

## საზოგადოებასთან ურთიერთობა და გასვლა ხალხში

ფარული მოლაპარაკებებისა და მოკავშირეების მობილიზების უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში მოსამართლეები გადიან საზოგადოებაში, აკეთებენ საჯარო განცხადებებს, თანამშრომლობენ მედიასთან. თავდაცვის ეს ფორმა პრევენციულ და გამაფრთხილებელ სტრატეგიას მოიცავს. მოსამართლეებმა შეიძლება წინასწარ გაამჟღავნონ მმართველობის საწინააღმდეგოდ მისაღები გადაწყვეტილება. ამას შესაძლოა, ერთი მხრივ, გამაფრთხილებელი ეფექტი ჰქონდეს, დააკვირდეს რეაგირებას ხელისუფლები მხრიდან, მეორე მხრივ კი – დაანახოს მოკავშირეებს რომ თავისუფალია გავლენებისგან და შემოიკრიბოს მხარდაჭერები მანამ, სანამ მის წინააღმდეგ მმართველი ძალის გამოხდომას ექნება ადგილი. მოსამართლეთა საჯარო ურთიერთობა არ არის ყოველთვის წარმატების მომტანი, როგორც ალინიშნა, მოსამართლეების ენა არ არის საზოგადოებისთვის გასაგები. ამასთან, მოსამართლეები შეიძლება გახდნენ პოლიტიკური დევნის მსხვერპლი, ნაცვლად იმისა, რომ საჯარო განცხადებებმა დაიცვან ისინი. მედიაც მეტად დაინტე-

75 უკრაინის შემთხვევა, როდესაც იუშჩენკომ თავისი დაცვის თანამშრომლები გაგზავნა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დასაცავად, გაყალბებული არჩევნების გაუქმების საქმის განხილვის პერიოდში, თუმცა მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, თავადაც გამოირჩეოდა სასამართლოს საქმიანობაში ჩარევით. იხ.: Judges and Their Allies, Beloit Colleg, Journal of Law and Court, Spring 2014, p. 13.

რესტრუქტურული მოსამართლეების განცხადებებში სკანდალების ძეხნით, ვიდრე მათი რეალური დაცვით. ამასთან, მედიასთან კომუნიკაცია ხელისუფლებისთვის უფრო მარტივია, ვიდრე მოსამართლისთვის. რუმინელი მოსამართლეების წინააღმდეგ ხელისუფლება მედიის საშუალებით ეწეოდა მადისკრედიტირებელ კამპანიას, რითიც ზეწოლას ახდენდა მათზე სასურველი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

მიუხედავად ამ რისკებისა, მოსამართლეები უარს არ ამბობენ საჯარო კომუნიკაციის საშუალებების თავდაცვის მიზნით გამოყენებაზე, რამდენადაც, აქტივობის გაზრდის და საჯარო სოციალური ქსელებისა თუ მედია-საშუალებების მეტად გამოყენების შემთხვევაში, დიდია ალბათობა ადვილად მოიპოვო საზოგადოებრივი მხარდაჭერა და შედეგად მეტი ბერკეტი რჩება მოსამართლეს ზეწოლის წინააღმდეგ.

საერთაშორისო კავშირები, სხვადასხვა ფორმატით, ასევე კარგი მოკავშირეა მოსამართლეთა ავტონომიურობის შენარჩუნებისთვის. კონფერენციები და ქსელური ურთიერთობები, ერთი მხრივ, სამართლებრივ საკითხებზე დისკუსიის პლატფორმას ქმნის, მეორე მხრივ კი, გათვალისწინებულია გარე საფრთხეებისგან მოსამართლეთა დაცვის საკითხებზე მსჯელობისა და ერთმანეთის რესურსის გამოყენებისთვის. ამ ქსელების და გაერთიანებების მიერ იქმნება საერთო წესები, სტანდარტები, აისახება შესაბამის ანგარიშებში, კეთდება მოწოდებები და რეკომენდაციები. ეფექტური შედეგი შესაძლოა ამ კომუნიკაციამაც ვერ მოიტანოს, რამდენადაც ხელისუფლებას აქვს ბერკეტი უარყოს მკვეთრი რეკომენდაციები სუვერენიტეტის პრინციპით, ან მიმართოს რეფორმით შენიღბული ცვლილებების გზას, მოინდომოს თითქოსდა კორუმპირებული მოსამართლეების გამოვლენა, ან გაართულოს მოსამართლეთა მდგომარეობა: შეამციროს სასამართლოს ძალაუფლება<sup>76</sup>, სასამართლოს ბიუჯეტი<sup>77</sup>, სასამართლოთა ან მოსამართლეთა რაოდენობა, გააჭიანუროს მოსამართლეთა დანიშვნები სასამართლოებში, რაც გაზრდის მოსამართლეთა დატვირთვას და საქმეთა განხილვის შეფერხებას, იმოქმედებს დისციპლინური დევნის მატებაზე, დაწვეს ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტს.

## კოლექტიური პროტესტი

იმ შემთხვევაში, თუ საჯაროობა არ მოიტანს შედეგს და ვერ გაანეიტრალებს მათ პროტესტს, მოსამართლეები გადადიან კოლექტიური პროტესტის ფორმაზე. მოსამართლეთა ავტონომიურობის დაცვა ნაკლები ფასი ჯდება თუ თანამდებობის პირი მოსამართლეები ხელში იღებენ სადავეებს – აერთიანებენ მოსამართლეებს, საუბრობენ ჩარევებზე, ორგანიზებას უწევენ პროტესტს, მიმართავენ საერთაშორისო ორგანიზაციებს და სხვა საერთაშორისო პლატფორმებს. ამის მაგალითია ეგვიპტე, პაკისტანი, პოლონეთი, რუმინეთი. სერბეთში მოსამართლეთა ასოციაციები ასრულებენ ამ ფუნქციას, გადიან საჯარო სივრცეში, სხვადასხვა ფორმით აპროტესტებენ ჩარევას, მათ შორის აწყობენ ქუჩის აქციებს.

2007 წელს უგანდაში მოსამართლეთა პროტესტი მოჰყვა სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც პრეზიდენტის ოპოზიციონერი კანდიდატის მხარდამჭერები გათავისუფლდნენ გირაოთი. გადაწყვეტილებამ გამოიწვია პრეზიდენტის მხრიდან შეტევა სასამართლოზე. მოსამართლეთა უკმაყოფილების გასანეიტრალებლად, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ მოაწყო საგანგებო შეხვედრა. შეხვედრაზე მოსამართლეები აცხადებდნენ რომ შეაჩერებდნენ ყველა იმ პოლიტიკური ძალის საქმის განხილვას, რომლებიც ახორციელებდნენ შეტევას სასამართლოზე, მზად იყვნენ პროტესტის ნიშნად დაეტოვებინათ კიდევ თანამდებობები და გამოეც-

76 უნგრეთში 2011 წლის საკონსტიტუციო რეფორმა გააკრიტიკა ვენეციის კომისიამ, იმ მიმართულებით, რომ ბიუჯეტის საკითხი ადამიანის უფლებათა დაცვის პრიორიტეტზე მაღლა დააყენა და შეამცირა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია Tax law დარღვევისას ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით. იხ.: ვენეციის კომისიის დასკვნა 621/2011, 17-18 ივნისი, 2011 წელი. ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3zK6vMH> (004.2021)

77 უკრაინა 2005-06, რუსეთი 1993, სერბეთი 2006-07.

ხადებინათ მასობრივი გლოვის აქცია, და მოეწოდებინათ ხალისთვის – ელოცათ მართლმსაჯულების გამო. თავმჯდომარის მოადგილის ძალისხმევა უშედეგოდ დასრულდა და მეორე დღეს მოსამართლეებმა ხელისუფლებისგან მოითხოვეს ბოდიშის მოხდა და დაპირება რომ არასოდეს განმეორდებოდა მსგავსი რამ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეაჩერებდნენ მათი საქმის განხილვებს. მოგვიანებით, გადამდგარი თავმჯდომარე წერდა, რომ მუსევიჩის<sup>78</sup> არ ჰქონდა სტრატეგია ინდივიდუალურად ჩაეხშო თითო თამამი მოსამართლის ხმა, შესაბამისად, მოსამართლეები იყენებდნენ შესაძლებლობას – შეწინააღმდეგებოდნენ ყველაფერს, რაც დიქტატორულ ნიშანს შეიცავდა ან ეწინააღმდეგებოდა ადამიანის უფლებებს.

კოლექტიური წინააღმდეგობა გაცილებით ეფექტურია, ვიდრე ინდივიდუალური, რადგან

1. გამოხატავს მოსამართლეთა სურვილს, დაიცვან სისტემა;
2. მეტად თვალშისაცემია, რის გამოც ხელისუფლებას უწევს მასზე რეაგირება;
3. მოსამართლეთა ასეთი სოლიდარობა უქმნის მათ გმირულ იმიჯს და იწვევს საზოგადოებისგან მხარდამჭერ დამოკიდებულებას, განსაკუთრებით, თუკი ხელისუფლება არ არის საკმარისად პოპულარული;
4. იწვევს საჯარო დისკუსიის დაწყებას ისეთ საკითგებზე, როგორებიცაა დემოკრატიული ღირებულებები, სამართლის უზენაესობა, ხელისუფლების დანაწილება, ანგარიშვალდებულება და სხვ.

საბოლოოდ, კოლექტიური პროტესტი აჩვენებს მომავალ მოკავშირეებს, რომ არსებობენ არა მხოლოდ ე. წ. ცალკეული მოსამართლეები, რომელთა აქტიურობაც ხშირია, საკუთარი პოზიციების დასაცავად, არამედ მოსამართლეები ერთიანად მოქმედებენ თავიანთი ავტონომიურობის დასაცავად. ამასთან, თუკი ცალკეული მოსამართლეები არ მიმართავენ კოლექტიური გამოხატვის ფორმას და არ საუბრობენ მედიასთან, მიიჩნევენ რა, რომ აღნიშნული შეუთავსებელია მათ საქმიანობასთან, ერთიანი პროტესტი მაინც მიჩნეულია ავტონომიურობის დამცავ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმად, უფრო მნიშვნელოვნადაც კი, ვიდრე პოტენციური მოკავშირეების ძიების სხვა მეთოდები.

გარე საფრთხეებისგან თავდაცვისთვის (off-bench resistance) გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსამართლეთა წინააღმდეგობის სწორ მართვას. უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეების პოზიცია ასეთ დროს მნიშვნელოვანია. ისინი უფრო ხშირად ცდილობენ მოირგონ დანარჩენ ხელისუფლებასა და მოსამართლეებს შორის საქმეებზე მოჩურჩულე პირის როლი, ვიდრე რეალურად მხარი დაუჭირონ მოსამართლეებს ავტონომიურობის დაცვაში, ცდილობენ რა წარმოაჩინონ, რომ მოსამართლეებს არ უნდათ განვითარება და ცვლილებები. ამის საპირისპიროდ, გამოცდილი მოსამართლეები (senior judges), აქტიური მოსამართლეები, მართლმსაჯულების საბჭოს წევრები, უფრო მეტ გარანტიას წარმოადგენენ რეალური წინააღმდეგობის გასაწევად. ცხადია, მმართველი ძალა ცდილობს ამ ძალების მარგინალიზებას და მათთვის პოლიტიკური იარაღის მიწებებას. ასეთ დამოკიდებულებას ხელს უწყობს მოსამართლეთა ასოციაციების, როგორც კოლექტიური პროტესტის გამოხატვის პლატფორმის აქტივობები.

საერთო ჯამში, შესაძლოა გამოვყოთ მართლმსაჯულების ავტონომიურობის პოლიტიკის რამდენიმე გზა:

თეორიები, რომლებიც იძულებულ მდგომარეობაში ამყოფებს მოსამართლეებს მოერგონ სხვა შტოების პოლიტიკურ პრეფერენციებს – უნდა შეიცვალოს დარბაზს გარეთ (off-bench) მოკავშირეთა ძებნის სტრატეგიების .

ახალი მოკავშირეების მოზიდვა, იზოლაცია და ჩაკეტილობა ჰიბრიდულ რეჟიმებში სასამართლოს ავტონომიურობის დაცვას არ ემსახურება, მიუთითებს მხოლოდ მოსამართლეების ხალ-

78 უგანდის პრეზიდენტი 1986 წლიდან დღემდე. არჩეული იქნა ზედიზედ ექვსჯერ.



ხისგან დაშორებაზე. მოსამართლეთა სისტემის შიგნით ჩაკეცვის და იზოლირების მხარდამჭერი ნორმების ერთგულება, ვერ იცავს მოსამართლეს გარე ჩარევებისგან.

მოსამართლეების მოკავშირეობის ანალიზი უნდა მოიცავდეს დისკუსიას ფართო პროფესიული ჩართულობით; მათ შორის, სამოქალაქო სექტორისა და ადვოკატების მონაწილეობით. ჰიბრიდულ რეჟიმებში ადვოკატებიც საფრთხის ქვეშ იმყოფებიან და მათი საქმიანობა ნაწილობრივ ასახავს ამ გავლენის ნიშნებს. ჰიბრიდული რეჟიმის ქვეყნებში მართლმსაჯულების ავტონომიურობის მხარდამჭერას შესაძლოა ადვოკატთა ასოციაციის წინააღმდეგ დარტყმები მოჰყვეს ხელისუფლების მხრიდან. თუმცა, მეორე მხრივ, პროფესიული საზოგადოების მიმართ სანდოობა შეიძლება შეამციროს პოლიტიკურ ელიტებთან კავშირმა. მათი ურთიერთთანამშრომლობა დიდ მუხტს შეიტანს მომავალი საფრთხეებისა და ჩარევების თავიდან აცილებაში.

მართალია გარე თანამშრომლობა ასევე იწვევს ჩამრევი მხარის რეაგირებას. ისინიც იწყებენ ფიქრს, თუ როგორ შეინარჩუნონ მოსამართლეთა ლოიალობა და რისი გაკეთება ძალუძთ მათ ამ თანამშრომლობის დარღვევისთვის. ისინი ცდილობენ თავიანთი ჩარევა შენიღბონ დემოკრატიის პრინციპების ან ქვეყნის უსაფრთხოების დაცვით, კორუფციასთან ბრძოლით, ან – ქვეყნის ეკონომიკური თუ სოციალური განვითარების ინტერესებით. თუმცა თავის მხრივ, დაუმორჩილებელი მოსამართლეებიც ანალიზებენ კავშირების ეფექტიანობას, შემდგომი მოქმედების გზებს, რათა წარმოაჩინონ თავი, როგორც თავისუფლების კანონმორჩილმა დამცველებმა. მკვლევართა აზრით, ეს გზაც ხელს უწყობს სასამართლოს ავტონომიურობის გაძლიერებას.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლეთა დარბაზს გარე ქცევების (off – bench) სერიოზულ აღქმას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სამართლის უზენაესობის რეფორმაში. სასამართლოს და მოსამართლეების შეურაცხყოფა ფართო საზოგადოების მხრიდან, ასუსტებს სასამართლოს ავტონომიურობას, საზოგადოებას არ სურს იყოს ასეთი მოსამართლეების მოკავშირე. მოსამართლეები ჰიბრიდულ რეჟიმებში ისეთივე მნიშვნელობას უნდა ანიჭებდნენ მათ დარბაზს გარე აქტივობას, როგორსაც გადაწყვეტილების დასაბუთების ხარისხის გაუმჯობესებას. შესაბამისად სოციალური აქტივობის, გუნდის ფორმირების, უცხო ენების მიმართულებით შესაძლოა უფრო მეტად იქნენ განვითარებულები, სწავლებების და ტრენინგების გზით.

გარე ფაქტორები, პოლიტიკური კონტექსტი, დამოუკიდებლობის ფორმალური დაცვა, პოლიტიკოსთა პრეფერენციები გავლენას ახდენს მოსამართლეთა ავტონომიურობის ხარისხზე ჰიბრიდულ რეჟიმებში. თავის მხრივ მოსამართლეებს და დარბაზს გარეთ უწევთ პოლიტიკოსებივით მოქცევა. ორი მნიშვნელოვანი ფორმა – მოსამართლეთა ქსელების კოლეგიური კავშირების და გავლენისგან თავდაცვისთვის გზების გამოყენება განსაზღვრავს მათი ავტონომიურობის ხარისხს და მასშტაბს. მოსამართლეები იქცევიან მათთვის უჩვეულოდ, ეძებენ მოკავშირეებს, მათ შორის ფარული გზებით, გამოხატავენ პროტესტს, ასაჯაროებენ კონკრეტულ ფაქტებს. ამგვარი ქმედებების გრძელვადიანი შედეგების აღწერა დამატებითი კვლევის საგანია, თუმცა მოკლევადიან პერსპექტივაში მათ მხოლოდ ეს საშუალებები რჩებათ გადასარჩენად გავლენების საწინააღმდეგოდ მოქმედებისთვის, ან ირჩევენ მორჩილების გზას.



თვითმმართველობის ევროპული მოდელის შემოღებამ სასამართლო სისტემას შესაძლებლობა მისცა თავი დაეცვა გარე პოლიტიკური ზეგავლენისგან, თუმცა გაჩნდა საფრთხე სისტემის შიგნით კორპორატიული მმართველობის ჩამოყალიბების, მოსამართლეთა მიერ პირადი ინტერესების გატარებისა და კორუფციის, რაც, თავის მხრივ, ამცირებს სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობას და ხელს უშლის დემოკრატიული პროცესების განვითარებას. ამ რისკებმა სხვადასხვა ფორმით თავი იჩინეს პოსტკომუნისტური მმართველობის ქვეყნებში. არსებულმა მენტალურმა კულტურამ განაპირობა პოლიტიკური გავლენების კუთხით არაფორმალური გზების ჩამოყალიბება, რითიც გაუფასურდა თვითმმართველობის – ხელისუფლების დანაწილების პრინციპის გამყარების მექანიზმად განხილვის იდეა. მეორე მხრივ, თვითმმართველობა არის კარგი აზრი და ნეგატიური ფაქტორები გამოწვეული იყო არა მოდელის უვარგისობით, არამედ რელიგვანტურობის, საზოგადოების მენტალობის, ქვეყნებში არსებული ინდივიდუალური კონტექსტის გაუთვალისწინებლობით, მთელი აქცენტის მხოლოდ თვითმმართველობის გაძლიერებაზე გადატანით, სასამართლო სისტემის ეფექტიანობასა და ანგარიშვალდებულების კომპონენტისთვის არასათანადო ყურადღების მიქცევით. დამოუკიდებლობის საზღვრების გაფართოებამ, ანგარიშვალდებულების დამცავი მექანიზმის გაძლიერების გარეშე, შექმნა ქრონიზმის კორპორატივიზმისა და მართლმსაჯულების შიგნიდან მიტაცების საფრთხე.

ბოლო ათეული წლის განმავლობაში საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრმა გადაინაცვლა თვითმმართველობის მოდელებით გამოწვეული რისკების აღმოფხვრისკენ, რაც გამოიხატა: ქვეყნების ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებაში, სასამართლო სისტემის შიგნით შეკავება-გაწონასწორების მექანიზმების შექმნაზე ყურადღების გამახვილებაში, სასამართლოს მმართველობაში საზოგადოების ქმედითი ჩართულობის, მრავალფეროვანი წარმომადგენლობის უზრუნველყოფაში. ცხადია, ამ ფაქტორების გათვალისწინებით, სასამართლოს თვითმმართველობის მოდელის შერჩევას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თავად მოსამართლეების ქცევას, თუ რისთვის იყენებენ ისინი სასამართლოს ავტონომიურობას, ირჩევენ მხოლოდ ხელისუფლებასთან მოკავშირეობის და შესაბამისად მასთან კომპრომისის გზას, თუ სხვადასხვა მეთოდით გამოხატავენ მასთან წინააღმდეგობას, მხარს უჭერენ საკუთარი ავტონომიის დაცვას და თვითმმართველობის სახით მიღებული მონაპოვარის შენარჩუნებას, რას ესწრაფვიან ისინი, როგორ იყენებენ მათ ხელთ არსებულ მექანიზმებს: საკუთარი პროფესიული ინტერესების თუ პირადი კეთილდღეობის მისაღწევად. განხილულმა მაგალითებმა დაგვანახა, რომ საქართველოსგან განსხვავებით, ჰიბრიდული რეჟიმის ქვეყნებშიც კი მოსამართლეები არ ირჩევენ ერთადერთ გზად კავშირს მოქმედ ხელისუფლებასთან, არამედ ეძებენ ავტონომიურობის შენარჩუნებისთვის მოკავშირეებს, მათ შორის დონორი ორგანიზაციების, მედიის, საერთაშორისო სამოსამართლო გაერთიანების სახით, გამოხატავენ პროტესტს. მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლეთა ქცევის მაგალითების გააზრების შედეგად, შესაძლებელი გახდეს სისტემაში დამოუკიდებლობის მსურველი მოსამართლეების იდენტიფიცირება და მხოლოდ მათი მხარდაჭერა და გაძლიერება, რათა არ მოუწიოთ საფრთხის წყაროსთან მოლაპარაკების ან არალეგიტიმური კავშირების ძიება გავლენიანი მმართველობის პირობებში გადასარჩენად.



